სამედიცინო გაზეთი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო
უნივერსიტეტის გამოცემა
გამოდის 1957 წლიდან
№ 5–6 (333–334) მაისი–ივნისი, 2020 წელი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი **ზურაბ ვადაჭკორია:**
„ჩვენთან სწავლობს 71 ქვეყნის 2400-ზე მეტი საერთაშორისო სტუდენტი. მათგან 60%-მდე, პანდემიის პირობებში, საკუთარ სამშობლოში დარჩა. მათთვის მეცადინეობები ტარდება იმგვარად, რომ ყველა ქვეყნიდან მოხერხდეს ჩართვა. აქტივობა აქაც ძალიან დიდია. სასიამოვნოა, რომ შრი-ლანკადან მივიღეთ წერილი, სადაც აკადემიური პროცესის სათანადოდ წარმართვისთვის მადლობას გამოხატავენ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მიმართ“.

გვ 2

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კანცლერი, პროფესორი **ზურაბ ორჯონიკიძე**:
„ამ დროისთვის, დასრულების ეტაპზეა ახალი, მეხუთე სასწავლო კორპუსის, მშენებლობა, რომელიც 2020-2021 სასწავლო წლიდან დაიწყებს ფუნქციობას. წარმატებით მიმდინარეობს მეორე სასწავლო კორპუსის რეკონსტრუქციის პროექტირების სამუშაოებიც. აღნიშნული პროექტი, განსაკუთრებით მინდა გამოვყო. არსებული გამოწვევების შესაბამისად, უნივერსიტეტს სასიცოცხლოდ ესაჭიროება დამატებითი სივრცე, სადაც შესაძლებელი გახდება ეპიდემიოლოგთა რეკომენდაციების გათვალისწინება აკადემიური პროცესის წარმართვისას“.

გვ 4

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტები და რეზიდენტები აქტიურად არიან ჩართულნი მსოფლიოს ახალი გამოწვევის, კოვიდ ინფექციის, წინააღმდეგ ბრძოლაში.

ისინი ჩვენი დროის გმირები არიან, რომლებიც, თითოეული პაციენტის გადასარჩენად, საქართველოს (და არამარტო) სხვადასხვა ქალაქსა და რეგიონში თავდაუზოგავად შრომობენ და იღვწიან.

ზოგიერთ მათგანს ჯანმრთელობის სადარაჯოზე ყოფნა ყველაზე რთულ ვითარებაში, ოკუპირებული ტერიტორიებიდან ყველაზე ახლოს, სულ რამდენიმე კილომეტრში უწევს.

ეს ახალგაზრდები არა მხოლოდ პროფესიულ მოვალეობას ასრულებენ, არამედ ემსახურებიან იმ უზენაეს მისიას, რასაც საკუთარი ქვეყნის რიგითი ჯარისკაცობა ჰქვია.

გვ 2

შექმნილ ვითარებაში, რომელიც მოითხოვდა მიმდინარე გამოწვევებზე დაუყოვნებელ

COVID-19-ის პანდემიამ ბევრი რამ შეცვალა მსოფლიო მასშტაბით. საგანგებო მდგომარეობა, კარანტინი, იზოლაცია, დისტანციური ურთიერთობები – ეს, ცხადია, განსაკუთრებულად აისახა ყველაფერზე, მათ შორის, განათლების სფეროზეც.

მოულოდნელი, იძულებითი ცვლილებების ფონზე, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა შეძლო, შეინარჩუნებინა მაღალი აკადემიური დონე, დარჩა სტუდენტზე ორიენტირებული, ამავდროულად, წუთით არ მიუტოვებია ყურადღების მიღმა თანამშრომლები, რომლებიც, ნაწილი – დისტანციურად, ნაწილი კი – ეპიდემიოლოგთა ყველა მითითების დაცვით – სამუშაო ადგილზე, დაუღალავად შრომობდნენ, რომ სემესტრი წარმატებულად წარმართულიყო.

დღეს უკვე შეიძლება, შევაფასოთ განვლილი სამი თვე და ვისაუბროთ სამომავლო გეგმებზე.

ვესაუბრებით **თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორ ზურაბ ვადაჭკორიას:**

– საგანგებო მდგომარეობის პირობებში როგორ შეაფასებთ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიურ საქმიანობას, რამდენად მომზადებული აღმოვჩნდით უჩვეულო პირობებში სწავლებისთვის? როგორ ხორციელდება ეს პროცესი საერთაშორისო სტუდენტებთან?

– ბუნებრივია, სრულიად მოულოდნელი იყო სწავლების დისტანციურ ფორმატზე გადასვლა. ამ ტიპის გამოცდილება არ ჰქონდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს, ამასთან, სამედიცინო განათლება შორს დგას დისტანციური სწავლებისგან, მაგრამ, შექმნილ ვითარებაში, რომელიც მოითხოვდა მიმდინარე გამოწვევებზე დაუყოვნებელ პასუხს, ჩვენმა პროფესორებმა განსაკუთრებული ძალისხმევა და მონდომება გამოიჩინეს. სულ რაღაც ორ კვირაში ყველა დეპარტამენტმა მოახერხა, რომ სწავლების ელექტრონულად დაწყებისთვის მომზადებულიყო და 30 მარტს დავიწყეთ კიდეც სწავლა ყველა საბაზისო დეპარტამენტში, 1 აპრილს – კლინიკურ დეპარტამენტებში. საყურადღებოა ისიც, რომ სტუდენტები განსაკუთრებული გაგებით მოეკიდნენ ამ საკითხს. ჩვენ ვაწარმოებდით და დღესაც ვაწარმოებთ ყოველდღიურ მონიტორინგს სწავლის პროცესზე, რასაც ხედავენ სტუდენტებიც, პროფესორებიც. დასწრება არის ძალიან კარგი – როგორც სტუდენტების, ისე პროფესურის, ორმხრივი მობილიზება იგრძნობა.

ჩვენთან სწავლობს 71 ქვეყნის 2400-ზე მეტი საერთაშორისო სტუდენტი. მათგან 60%-მდე, პანდემიის პირობებში, საკუთარ სამშობლოში დარჩა. მათთვის მეცადინეობები ტარდება იმგვარად, რომ ყველა ქვეყნიდან მოხერხდეს ჩართვა. აქტივობა აქაც ძალიან დიდია. სასიამოვნოა, რომ შრი-ლანკადან მივიღეთ წერილი, სადაც აკადემიური პროცესის სათანადოდ წარმართვისთვის მადლობას გამოხატავენ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მიმართ.

– თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველმა საუნივერსიტეტო კლინიკამ COVID - 19-თან ბრძოლაში ძალიან დიდი მისია იტვირთა, დღეს როგორ შეაფასებთ გასულ ორ თვეს, რა წვლილი შეიტანა მან ამ უმნიშვნელოვანეს საქმეში?

– პირველმა საუნივერსიტეტო კლინიკამ მიიღო 636 პაციენტი, მათ შორის, 164 COVID-19-ით ინფიცირებული. გამოჯანმრთელდა 150 პაციენტი, სხვა კლინიკაში გადავიდა 2; 8 შემთხვევაში კი, სამწუხაროდ, დადგა ბიოლოგიური სიკვდილი. ამჟამად კლინიკაში არის 21 პაციენტი.

მსოფლიოში არსებულმა პანდემიამ, რომელიც გამოწვეულია SARS-CoV- 2 ვირუსით, ბუნებრივია, შემოაღწია საქართველოშიც. 26 თებერვალს იყო პირველი დადასტურებული შემთხვევა; 28 თებერვალს, საღამოს, გადაწყდა, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკა მიიღებდა COVID-19-ით დაავადებულ პაციენტებს. ვიცოდით, ეს სერიოზულად შეეხებოდა სასწავლო პროცესს, რადგან ამ კლინიკაში განთავსებულია თსსუ-ის 14 სასწავლო დეპარტამენტი; სამედიცინო სწავლება კლინიკის გარეშე წარმოუდგენელია... მიუხედავად ამისა, ძალისხმევა არ დაგვიშურებია, რომ პროცესი ძალიან სწრაფად წარმართულიყო და კლინიკა სასწრაფოდ მომზადებულიყო პაციენტთა მისაღებად. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველ საუნივერსიტეტო კლინიკაში გადავიყვანეთ თსსუ-ის ინფექციურ სნეულებათა დეპარტამენტი, პროფესორ ელზა ვაშაკიძის, ხელმძღვანელობით. პროფესორი ელზა ვაშაკიძე დროებით დაინიშნა ამ კლინიკის დირექტორად კონტაგიოზური დაავადების დარგში. მასთან ერთად პროცესს წარმართავდნენ: თსსუ-ის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის გენერალური დირექტორი, პროფესორი ლევან რატიანი, კლინიკური დირექტორი ლალი ტურძელაძე, ფინანსური დირექტორი მამუკა წაქაძე. ძალიან დიდი წვლილი შეიტანეს SARS- CoV- 2-თან ბრძოლაში თსსუ-ის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის თანამშრომლებმა, თსსუ-ის აკადემიურმა პერსონალმა: პროფესორმა კახაბერ ჭელიძემ, ასოცირებულმა პროფესორმა ქეთევან მაჭავარიანმა და სხვებმა.

აქვე არ შემიძლია არ აღვნიშნო თსსუ-ის სტუდენტების და რეზიდენტების წვლილი. მადლობა მათ უანგარო და თავდადებული შრომისთვის, როგორც კლინიკებში, ისე საქველმოქმედო სფეროშიც...

აღსანიშნავია, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველ საუნივერსიტეტო კლინიკაში 2019 წელს განსაკუთრებით ძლიერი რეანიმაციის დეპარტამენტი შეიქმნა. ამიტომაც იქცა ეს კლინიკა მძიმე პაციენტების მართვის უმნიშვნელოვანეს კერად.

დღეს ეპიდემიოლოგიური სიტუაცია საქართველოში კონტროლს სრულად ექვემდებარება. იმედია, ასეთი მდგომარეობა გაგრძელდება. თუმცა, უნდა გვახსოვდეს, რომ მაშინ, როცა ჩვენთან დღეში 1 ახალი შემთხვევაა, სომხეთში კი 439 შემთხვევა ფიქსირდება. ამდენად, რისკი დიდია, თუ დავარღვევთ რეკომენდაციებს, შეიძლება დაავადება გავრცელდეს.

– თქვენ არაერთხელ აღნიშნეთ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის იმ კურსდამთავრებულთა წვლილი, რომლებიც ახლა საზღვარგარეთ მოღვაწეობენ. იდეა მათთან კომუნიკაციის საშუალებების გაფართოებისა, მომავალში კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდება. როგორ გესახებათ ამ იდეის ხორცშესხმა?

– ყველა უნივერსიტეტის მოვალეობაა კავშირი კურსდამთავრებულებთან. თსსუ-ს ბევრი კურსდამთავრებული ჰყავს. ვცდილობთ, კავშირი გვქონდეს ერთმანეთთან.

SARS-CoV-2-ის წინააღმდეგ მებრძოლი ქართველი ექიმების, თითქმის, აბსოლუტური უმრავლესობა ჩვენი კურსდამთავრებულები არიან; ჩვენი კურსდამთავრებულები მუშაობენ ევროპასა და აშშ-ში. ცხადია, ექიმები თავიანთ მოსაზრებებს გამოთქვამდნენ. ვნახეთ, რომ, ემოციის ფონზე, მათი ზოგიერთი წინადადება სწორად არ იყო გაგებული. მით უმეტეს, რომ მსჯელობა მიდიოდა სოციალურ ქსელებში, საზოგადოებისთვის გასაგები ლექსიკით და, შესაბამისად, სამედიცინო ტერმინების სიზუსტის ნაკლებობით.

ჩვენ, ცხადია, გამოცდილების გაზიარება გვჭირდება. ჩვენი კურსდამთავრებულები ჩვენი ძალაა... ამიტომაც შევთავაზეთ, დავამკვიდროთ ონლაინ-შეხვედრები. ასეთი შეხვედრები შედგა კიდეც. მონაწილეობდნენ თსსუ-ის საპატიო დოქტორები: ავსტრიიდან – ირმა კვიცარიძე, გერმანიიდან – გიორგი გრიგოლია. ჩვენი კურსდამთავრებულები: თამარ ჟამუტაშვილი გერმანიიდან, ზურაბ გურული აშშ-დან, ასევე, ძალიან ნიჭიერი ახალგაზრდა, რომელმაც წარმატებით გაიარა რეზიდენტურა აშშ-ში და იქვე საქმიანობს – ბექა ბახტაძე, ემორის უნივერსიტეტიდან – არჩილ უნდილაშვილი... საქართველოდან – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის თანამშრომლები ესწრებოდნენ შეხვედრებს. ძალიან ბევრი საკითხი განიხილეს. გვჯერა, კონტაქტი ამ ფორმატში გაგრძელდება.

მინდა სტუდენტებმა იცოდნენ, რომ თსსუ-ის კურსდამთავრებულები ძალიან ბევრს აკეთებენ სტუდენტების, რეზიდენტების და პროფესორ-მასწავლებელთა უცხოეთში სტაჟირებისთვის. დიდი მადლობა თითოეულ მათგანს.

– შექმნილმა სიტუაციამ თვალნათლივ აჩვენა საუნივერსიტეტო კლინიკის უდიდესი მნიშვნელობა სახელმწიფოებრივ დონეზე; ხომ არ მიგაჩნიათ აქტუალურად, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს კიდევ ერთი მრავალპროფილური კლინიკა შეემატოს, მით უმეტეს, რომ ამის საჭიროება აკადემიურ პროცესშიც იგრძნობა.

– ამ ეტაპზე ეს ჩვენი ძირითადი საზრუნავია. ამაზე ფიქრი პანდემიამდე დავიწყეთ. პირველი განაცხადი 2019 წლის შემოდგომაზე გავაკეთეთ. ის კლინიკები, რომელიც დღეს გვაქვს (თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკა, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკა და სამი სტომატოლოგიური კლინიკა) საკმარისი არ არის. სასურველია ყველა სასწავლო დეპარტამენტი განთავსდეს თსსუ-ის

გაგრძელება გვ 3-ზე

იქ, სადაც სამშობლოს სჭირდება

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტები და რეზიდენტები აქტიურად არიან ჩართულნი მსოფლიოს ახალი გამოწვევის– SARS-CoV-2-ის ინფექციის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ოჯახებს მოშორებულები, ექიმების გვერდით დაუღალავ შრომაში ჩაბმულები, ისინი აჩვენებენ მაგალითს, როგორ უნდა აზროვნებდეს მოქალაქე, როგორ უნდა გადადოს თავი საკუთარი მოვალეობის შესრულებისას, მომავალში როგორ უნდა ატაროს ის საპატიო სახელი, რასაც ექიმი ჰქვია.

ისინი ჩვენი დროის გმირები არიან, რომლებიც, თითოეული პაციენტის გადასარჩენად, საქართველოს (და არამარტო) სხვადასხვა ქალაქსა და რეგიონში თავდაუზოგავად შრომობენ და იღვწიან.

ზოგიერთ მათგანს ჯანმრთელობის სადარაჯოზე ყოფნა ყველაზე რთულ ვითარებაში, ოკუპირებულ ტერიტორიებთან ყველაზე ახლოს, სულ რამდენიმე კილომეტრში უწევს.

თითქოს აქ კიდევ უფრო დიდია პასუხისმგებლობა; აქედან ძალიან ახლოს არის საქართველო, რომელზეც სახელ-

გაგრძელება გვ 3-ზე

პასუხს, როგორც სტუდენტების, ასევე პროფესურის, ორმხრივი მობილიზება იგრძნობა

დასაწყისი გვ 2-ზე

კლინიკებში. ამისთვის აუცილებელია კიდევ ერთი მრავალპროფილური კლინიკის არსებობა. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი იქცა მძლავრ უმაღლეს სამედიცინო სასწავლებლად, სადაც 2400-ზე მეტი საერთაშორისო სტუდენტი სწავლობს. მათთვის სწავლის ფასი არ არის დაბალი, ის აღემატება ევროკავშირის აღმოსავლეთით მდებარე ქვეყნების ბევრი სხვა უნივერსიტეტის ფასს. სტუდენტთა სიმრავლეს ავტორიტეტი განაპირობებს. სწორედ ამიტომ გვჭირდება კიდევ უფრო მეტი სასწავლო სივრცე. ამის რესურსი თსსუ-ს აქვს. მიმდინარეობს მოლაპარაკებები.

ასევე, გვინდა აშენდეს სტუდენტური საერთო საცხოვრებელი თსსუ-ის კამპუსის ტერიტორიაზე. ამ საკითხებზე ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს. საბოლოო გადაწყვეტილება, ალბათ, მალე გახდება ცნობილი.

რაც მთავარია, ეს საქვეყნო საქმეა.

მინდა გაგაცნოთ რეალური ციფრები. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სწავლობს 2400-ზე მეტი საერთაშორისო სტუდენტი. სწავლის წლიური საფასური ინგლისურენოვან პროგრამაზე 8000 დოლარია (24000 ლარი), ხოლო დიპლომირებული მედიკოსის ამერიკულ პროგრამაზე –13 500 აშშ დოლარი (40 500 ლარი). ერთი სტუდენტის საშუალო დანახარჯი: ბინა – წელიწადში, დაახლოებით, 6 000 ლარი; კვება – წელიწადში, დაახლოებით, 7 500 ლარი; ტრანსპორტის, სამედიცინო სერვისის, საკომუნიკაციო და სხვა ხარჯები – წელიწადში 3 900 ლარი. თითოეული სტუდენტის მიერ წელიწადში დახარჯული თანხა, სულ მცირე, 41 400 ლარია, შესაბამისად, თსსუ-ის საერთაშორისო სტუდენტებს ერთი წლის განმავლობაში დახარჯული აქვთ 99 360 000 ლარი. შედეგად, თსსუ-ის საერთაშორისო სტუდენტების მიერ არაპირდაპირი ინვესტირებით ქვეყნის ეკონომიკაში სწავლის ერთი სრული ციკლის განმავლობაში (6 წელი) შეადგენს 596 160 000 ლარს (თანხა დაანგარიშებულია შემდეგი გაცვლითი კურსით: 1 $=3ლ).

რაც უფრო მიმზიდველი გავხდებით საერთაშორისო ასპარეზზე, რაც უკეთეს პირობებს შევთავაზებთ მსურველებს, მით უფრო გაიზრდება ეს ციფრი.

– ახლოვდება გამოცდების პერიოდი, როგორ ჩატარდება სტუდენტებთან, რეზიდენტებთან სასწავლო წლის საბოლოო გამოცდები?

– ცხადია, ეს სემესტრი დამთავრდება დისტანციური სწავლებით, მაგრამ უმაღლესი სასწავლებელი უფლებამოსილია, ჩაატაროს ლაბორატორიული და პრაქტიკული მეცადინეობები. თუმცა, სანამ ქვეყანაში SARS-CoV-2-ის გავრცელების საშიშროება ჯერ კიდევ მაღალია, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ 2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში ყველა დასკვნითი გამოცდა, როგორც ტესტური, ისე ზეპირი, ჩატარდეს დისტანციური ფორმით: ტესტური გამოცდები – თსსუ-ის საგამოცდო ცენტრის ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით, ზეპირი გამოცდები და შედეგების აპელაცია კი, – Meet-ის პლატფორმის საშუალებით. გამონაკლისის სახით უნდა აღვნიშნო, რომ მედიცინის ფაკულტეტის მე-12, სტომატოლოგიის ფაკულტეტის მე-10, ფარმაციის ფაკულტეტის მე-8, საზოგადოებრივი ჯანდაცვის მე-8 სემესტრების სტუდენტები დამამთავრებელ გამოცდებს ჩააბარებენ თსსუ-ის გამოცდებისა და უნარ-ჩვევების შეფასების ცენტრში, თსსუ-ის აკადემიური საბჭოს მიერ დადგენილი წესით.

ყველა გამოცდას, გამონაკლისის გარეშე, დისტანციური ფორმით ჩააბარებენ:

ა) მედიცინისა და სტომატოლოგიის საერთაშორისო ფაკულტეტისა და დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის ყველა სტუდენტი;

ბ) ფარმაციის ფაკულტეტის და ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის უცხოურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტები;

გ) საქართველოში არმყოფი სტუდენტები;

დ) COVID-19-ის პანდემიასთან დაკავშირებით, თვითიზოლაციაში ან კარანტინში მყოფი სტუდენტები.

– COVID-19-მა შეცვალა მსოფლიოში ქვეყნების ცხოვრება, ეპიდემიოლოგების განცხადებით, ჩვენ უნდა მივეჩვიოთ ამ ინფექციასთან ერთად ცხოვრებას. ამ თვალსაზრისით რა შეიცვლება თსსუ-ის ცხოვრებაში? როგორი იქნება მზადყოფნა, თუკი, მომავალ სასწავლო წელს, ისევ შეიქმნება საგანგებო რეჟიმზე გადასვლის აუცილებლობა?

– მანამ, სანამ არ გვექნება ვაქცინა, უნდა შევეჩვიოთ SARS-CoV- 2-თან თანაცხოვრებას. ზოგიერთივით მეც ასე ვიტყოდი: ვირუსი მივაჩვიოთ, ისწავლოს ჩვენთან თანაცხოვრება. ამას მივაღწევთ. მიუღწეველი არაფერია! ბევრი ვირუსი გააქრო კაცობრიობამ თავისი ისტორიის მანძილზე, ბევრიც შეეჩვია ჩვენთან თანაცხოვრებას.

რაც შეეხება სწავლის დაწყებას, ვფიქრობთ, ახალ სასწავლო წელს ჩვეულებრივზე უფრო ადრე დავიწყებთ, სექტემბრის პირველ ორშაბათს, 7 სექტემბერს. ეს პერიოდი COVID -19-ის შესაძლო მეორე ტალღისგან უფრო თავისუფალი იქნება. შეიძლება გამოვიყენოთ სწავლების შერეული ფორმა – დისტანციური და ფიზიკური გამოცხადებით, რისი უფლებაც, როგორც უკვე აღვნიშნე, ახლაც გვაქვს ლაბორატორიული და პრაქტიკული სწავლების დროს. გამოვიყენებთ უცხო ქვეყნების გამოცდილებას, მოვისმენთ უცხოეთში მოღვაწე ჩვენი კურსდამთავრებულების რჩევებსაც.

– განვლილმა პერიოდმა გვაჩვენა, რომ მნიშვნელოვანია, მენტალურად მოვემზადოთ COVID 19-თან ბრძოლისთვის. უნდა შეიცვალოს ჩვენი ქცევის წესები, ე.წ. თბილი ურთიერთობები, დღესასწაულების აღნიშვნის კულტურა... როგორ გგონიათ, მოკლე დროში ამ ახალ რეალობასთან შეგუება თუ იქნება შესაძლებელი ჩვენი ქვეყნის მოსახლეობისთვის?

- COVID-19-ის გავრცელებიდან მალევე გახდა ნათელი, რომ ეს არ იყო ჩვეულებრივი მოვლენა. მოსახლეობაში ორი განსხვავებული მიდგომა გამოიკვეთა: პანიკური შიში ამ უცნობი დაავადებისადმი და, პირიქით, მისი სრულიად დაუსაბუთებელი (ალბათ, მოსალოდნელი საშიშროებისადმი სტრატეგიის არარსებობით გამოწვეული) იგნორირების უმწეო მცდელობა და ფსევდომამაცობის დემონსტრირება.

არც ერთი და არც მეორე მდგომარეობა უკვალოდ ჩასავლელ კატეგორიებს არ მიეკუთვნება. შეიცვალა ადამიანთა ქცევა, ყოფა და ჩვევები. ცხოვრების სლოგანი და პრინციპიც - „დარჩი შინ!“ - პრობლემის საუკეთესო გადაწყვეტაც იყო და ურთიერთობების გამოცდის ტესტიც. ეს გამოცდა სხვადასხვაგვარი შედეგებით სრულდებოდა. ამიტომ ვეთანხმები თქვენი კითხვის ძირითად აქცენტს მენტალური მზაობის შესახებ. ეს პერიოდი, მსოფლმხედველობათა ტრანსფორმაციისა და რაციონალურ ქმედებათა აღიარებისა და გატარების ხანად იქცა.

არა აქვს მნიშვნელობა (თუმცა აქვს კიდეც), ცხოვრება მომავალში რა სახის გამოწვევების წინაშე დაგვაყენებს, მაგრამ კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული ამ, თითქმის, ბიოლოგიური კატასტროფის დაწყებისთანავე დარწმუნებული ვიყავი, რომ გარემოება ადამიანებს ჭკუასთან ერთად ქცევებსაც გვასწავლიდა, საკუთარ თავსა და სხვებზე ზრუნვის და პასუხისმგებლობის ქცევებს.

ეს საქმე ყველაზე მეტად, ალბათ, ჩვენი თაობის ადამიანებს გაუჭირდებათ. არ არის საჭირო, ხშირად სრულიად არაგულწრფელი სიახლოვის, ხვევნა-კოცნის, ჩახუტებისა და ფამილარობის, წმინდა ქართული, თბილი და კაცთმოყვარე, ბუნებით ახსნა.

ჩვენი განათლებული და რაციონალური, უშიშარი და ქცევითი კულტურის მაღიარებელი ახალგაზრდობა, დარწმუნებული ვარ, იოლად გაიაზრებს და განახორციელებს ახალ, საყოველთაო კეთილდღეობაზე, ორიენტირებული ცხოვრების წესს ისე, რომ ამ პროცესში არ დაკარგავს ეროვნულ თვითმყოფადობასა და ქვეყნის სიყვარულს.

ჩვენ კი, წინა თაობას, მათზე, ახალგაზრდებზე, სწორება მოგვიწევს.

– წლევანდელი კურსდამთავრებულები განსაკუთრებულ პირობებში აღნიშნავენ უნივერსიტეტის დამთავრების საზეიმო დღეს. იქნებ ვუთხრათ მათ, რომ მთავარი ზეიმი მომავალში კარგ პროფესიონალად ჩამოყალიბება და ადამიანთა სამსახურში ყოფნაა...

– არა მარტო ჩვენი კურსდამთავრებულები (ისინი ყველაზე უკეთ გაიგებენ შექმნილ გარემოებას, ბევრი მათგანი ხომ COVID-19-თან ბრძოლის ეპიცენტრში იდგა). გულს მიკლავდა სკოლებთან და საბავშვო ბაღებთან ჩავლა – სადღა იყო ჩვეული „ალიაქოთი“, ბოლო ზარზე მისული, წარწერებით აჭრელებულ თეთრწინსაფრიანი და პერანგიანი ყოფილი მეთორმეტეკლასელები, ან გამოპრანჭული, საზეიმოდ მორთულ-მოკაზმული მომავალი პირველკლასელები...

მაგრამ, ბრძენისა არ იყოს, „ესეც გაივლის...“ და დადგება უკეთესი და ბედნიერი პერიოდი ჩვენი უნივერსიტეტისთვის, მისი სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ცხოვრებაში. პერიოდი, როცა ფეხზე მტკიცედ დადგებიან, როცა, სამედიცინო ცოდნითა და უნარებით შეიარაღებულნი, ათასობით სიცოცხლეს გადაარჩენენ, როცა, მართალია, ტკივილით გაიხსენებენ ალმა-მატერთან დამშვიდობების სიმბოლოდ ქცეული ზარისა და ქუდების მაღლა, ცისკენ ატყორცნის უტკბილეს, თუმცა, შეუმდგარ წუთებს, მაგრამ არასოდეს დაავიწყდებათ, როგორ უჭირდა მაშინ მათ სამშობლოს და რა მტკიცედ იდგნენ ისინი ადამიანების ჯანმრთელობის სადარაჯოზე.

გავა წლები, ჩვენი კურსდამთავრებულები სახელოვანი ექიმები გახდებიან და როცა მათ სახელებს და გვარებს გავიგებ, ვიამაყებ, რომ ისინი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სწავლობდნენ, მე კი მქონდა პატივი მათი რექტორი ვყოფილიყავი.

ესაუბრა ლელა მუკბანიანი
ინტერვიუ ჩაწერილია 2020 წლის 25 მაისს

იქ, სადაც სამშობლოს სჭირდება

დასაწყისი გვ 2-ზე

მწიფოს იურისდიქცია ვერ ვრცელდება. ეს არარსებული, მაგრამ ხელოვნურად შექმნილი, საზღვარი ბევრი ოჯახის გულზე გადის. ამიტომ ოკუპირებულ ტერიტორიებთან ახლოს გაათმაგებულია შენი მოქალაქეების დაცვის სურვილი. როგორც სტუდენტებმა აღნიშნეს, ამას ჩამოსვლის დღიდან გრძნობენ.

ეს ახალგაზრდები არა მხოლოდ პროფესიულ მოვალეობას ასრულებენ, არამედ ემსახურებიან იმ უზენაეს მისიას, რასაც საკუთარი ქვეყნის რიგითი ჯარისკაცობა ჰქვია.

როცა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი პირველსემესტრელებს იღებს, მისასალმებელ სიტყვაში რექტორი, პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია ყოველთვის აღნიშნავს, რომ გზა, რომელიც მომავალმა ექიმებმა, სტომატოლოგებმა, ფარმაცევტებმა, ჯანდაცვის სპეციალისტებმა და რეაბილიტოლოგებმა უნდა გაიარონ, ურთულესია და ცხოვრების წესის შეცვლას ითხოვს. COVID-19-თან დაკავშირებულმა მოვლენებმა თვალნათლივ აჩვენა, თუ რას გულისხმობს ეს სიტყვები. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებმა დაამტკიცეს, რომ მათი სახით ღირსეული, მოტივირებული, ნიჭიერი, შრომისმოყვარე და თავდადებული პროფესიონალები იზრდებიან.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი პანდემიის პირობებშიც მოწოდების სიმაღლეზე დგას

განვლილი თვეები ურთულესი აღმოჩნდა მთელი მსოფლიოსთვის. კრიზისული პერიოდი ერთგვარ „ლაკმუსის ქაღალდად“ იქცა, რომლის საშუალებითაც ნათლად გამოიკვეთა თანამედროვე მსოფლიოს განვითარების როგორც ძლიერი, ისე სუსტი მხარეები. ყოველივე ამან კი შესაძლებელი გახადა ადეკვატური დასკვნების გამოტანა.

პანდემიის პირველი ტალღის შემდგომ, როგორც მსოფლიოს და, მათ შორის, ჩვენი ქვეყნის, ასევე, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დღის წესრიგშიც დადგა განვლილი პერიოდის შეფასება, რომელიც უნივერსიტეტის სამომავლო გეგმებს კიდევ უფრო ნათლად გამოკვეთს.

ვესაუბრებით სსიპ – **თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კანცლერს, პროფესორ ზურაბ ორჯონიკიძეს:**

– როგორ შეხვდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი საგანგებო სიტუაციას, რამდენად მზად იყო მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, გამკლავებოდა არსებულ გამოწვევებს, შეექმნა სათანადო პირობები პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების ონლაინ სწავლებისთვის?

– მას შემდეგ, რაც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ კორონავირუსი გლობალურ საფრთხედ აღიარა და პანდემია გამოაცხადა, უნივერსიტეტი შეეცადა, მაქსიმალურად მოკლე დროში მოეხდინა ეფექტური რეაგირება, მიეღო სწორი გადაწყვეტილებები და მოემზადებინა ყველაფერი იმისთვის, რათა საგანგებო სიტუაციის მიუხედავად, ხარვეზების გარეშე წარმართულიყო როგორც აკადემიური პროცესი, ისე საუნივერსიტეტო კლინიკებისა და კვლევითი ინსტიტუტების საქმიანობა.

ონლაინ სწავლების აუცილებლობას თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი სათანადოდ მომზადებული შეხვდა, შევსებული და განახლებული, დისტანციური სწავლებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, სათანადოდ დატრენინგებული აკადემიური პერსონალით. პერმანენტულ რეჟიმში ხდება დისტანციური სწავლების ხარისხის კონტროლი. ანალიზის საფუძველზე, თამამად შეიძლება ითქვას, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტთა ონლაინ რეჟიმში სწავლება შეუფერხებლად მიმდინარეობს.

– როგორ აფასებთ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის როლს დღევანდელ სიტუაციაში და როგორ ხდებოდა კლინიკის მიმდინარე საჭიროებების დაკმაყოფილება საგანგებო სიტუაციის პირობებში?

– ვფიქრობ, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის, როგორც კორონავირუსთან ბრძოლაში ერთ-ერთი წამყვანი სამედიცინო დაწესებულების, როლი ყველასთვის თვალნათელია. პირველმა საუნივერსიტეტო კლინიკამ, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტი როლიც კი შეასრულა მიმდინარე პროცესებში.

ჩვენ შევძელით, კორონავირუსთან ბრძოლის მიზნით, საგანგებო სიტუაციის გამოცხადებამდე, სათანადოდ მოგვემზადებინა და აღგვეჭურვა პირველი საუნივერსიტეტო კლინიკა. ჯერ მარტო ის რად ღირს, რომ კლინიკაში ხელოვნური სუნთქვის აპარატების რეზერვი 60 ერთეულამდე შეივსო. შესაბამისად, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებისას და თვით დაავადების პიკის დროსაც კი, სამედიცინო აპარატურით უზრუნველყოფის თვალსაზრისით, მშვიდად ვიყავით. საბედნიეროდ, არსებული რესურსის სრული გამოყენების საჭიროება არ დამდგარა, თუმცა რეზერვის არსებობა სიმშვიდის და თანმიმდევრული მოქმედების საშუალებას აძლევდა როგორც სამედიცინო პერსონალს, ასევე კლინიკისა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციას. პირველი საუნივერსიტეტო კლინიკა, ასევე, უზრუნველყოფილი იყო საკმარისი რაოდენობის ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით (ნიღბებით, ხალათებით, რესპირატორებით, ხელთათმანებით, სპეციალური კომბინეზონებით და ა.შ.), ფარმაცევტული პრეპარატებით, სამედიცინო სახარჯი მასალებით - ყველაფრით, რაც აუცილებელი იყო SARS CoV 2-ით დაავადებული პაციენტების სამკურნალოდ.

COVID-19-ის პანდემიის დაწყებისთანავე, ფორსმაჟორულ გარემოებებში, მოხდა თსსუ-ის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის შიდა სივრცის რეკონსტრუქცია იმგვარად, რომ კორონავირუსით დაავადებული პაციენტების სამკურნალო სივრცე გამიჯნულიყო კლინიკის დანარჩენი სივრცისგან. გამიჯნული სივრცისთვის მოეწყო დამოუკიდებელი შესასვლელი, უსაფრთხოება მაქსიმალურად იყო დაცული. ვფიქრობ, ამ ყველაფრის შედეგია ის დადებითი დინამიკა და მოცემულობა, რაც პირველმა საუნივერსიტეტო კლინიკამ აჩვენა: თსსუ-ის პირველ საუნივერსიტეტო კლინიკაში მკურნალობას გადიოდნენ კორონავირუსით დაავადებულთაგან ყველაზე მძიმე პაციენტები, რომელთა უმრავლესობაც, საბედნიეროდ, გამოჯანმრთელდა. ვწუხვართ, რომ ვერ მოხერხდა ყველა მათგანის სიცოცხლის გადარჩენა.

– დადგა დრო, როცა კლინიკა თავის პირვანდელ, მრავალპროფილურ, ფუნქციას იბრუნებს. ცხადია, ამასაც სერიოზული სამუშაოების ჩატარება სჭირდება...

– დიახ, ნამდვილად ასეა. პირველი საუნივერსიტეტო კლინიკა თანდათანობით უბრუნდება მუშაობის ჩვეულ რეჟიმს. თსსუ-ის თანადგომითა და ძალისხმევით, დაწყებულია შესაბამისი სამუშაოები, რათა დროულად მოხდეს სამკურნალო ფართის მოწესრიგება და კლინიკური დეპარტამენტების თავის ადგილებზე დაბრუნება.

– თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ხორციელდება რამდენიმე მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტი. პანდემიით გამოწვეულმა კრიზისულმა ვითარებამ ხომ არ განაპირობა მათი მიმდინარეობის შეფერხება?

– მიუხედავად არსებული გამოწვევებისა, თსსუ-ში ინფრასტრუქტურული პროექტები წარმატებით მიმდინარეობს:

ამ დროისთვის, დასრულების ეტაპზეა ახალი, მეხუთე სასწავლო კორპუსის, მშენებლობა, რომელიც 2020-2021 სასწავლო წლიდან დაიწყებს ფუნქციობას. წარმატებით მიმდინარეობს მეორე სასწავლო კორპუსის რეკონსტრუქციის პროექტირების სამუშაოებიც. აღნიშნული პროექტი, განსაკუთრებით მინდა გამოვყო. არსებული გამოწვევების შესაბამისად, უნივერსიტეტს სასიცოცხლოდ ესაჭიროება დამატებითი სივრცე, სადაც შესაძლებელი გახდება ეპიდემიოლოგთა რეკომენდაციების გათვალისწინება აკადემიური პროცესის წარმართვისას, მათ მიერ მოთხოვნილი სოციალური დისტანციის დაცვა. აღნიშნული პროექტების განხორციელების შედეგად, მომდევნო ერთი წლის განმავლობაში, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს, თეორიული საბაზისო სწავლებისთვის, 12000 კვადრატული მეტრი ფართი დაემატება. ეს შესაძლებლობას მოგვცემს, სრულად გადაიჭრას თეორიულ სწავლებასთან დაკავშირებული სასწავლო ფართის პრობლემები.

გარდა ზემოაღნიშნული პროექტებისა, რომელთა განხორციელებაც თეორიული დეპარტამენტების სასწავლო ფართით უზრუნველყოფას უკავშირდება, ძალზედ მნიშვნელოვანია კლინიკური ბაზების დივერსიფიცირება, რასთან დაკავშირებითაც აქტიურად ვმუშაობთ. ჩვენი მიზანია, ავამოქმედოთ მეორე მრავალფუნქციური საუნივერსიტეტო კლინიკა, სადაც განთავსდება 12 ან 13 კლინიკური დეპარტამენტი. ამასთან, პანდემიის ან სხვა კატაკლიზმების დროს, პირველ საუნივერსიტეტო კლინიკაში სასწავლო პროცესის შეფერხებისას, შესაძლებლობა იქნება, აქ განთავსდეს თსსუ-ის სხვა კლინიკური დეპარტამენტებიც. ამ ეტაპზე მიმდინარეობს მოლაპარაკებები. იმედი გვაქვს, რომ აღნიშნული საკითხი უახლოეს მომავალში დადებითად გადაწყდება.

– როგორ ემზადებით სამომავლოდ, რა შეიცვლება უსაფრთხოების გაძლიერების თვალსაზრისით?

– თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, ცხადია, სათანადოდ მოემზადება, რათა მაქსიმალურად იქნას გათვალისწინებული ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც გაიცემა ჯანდაცვის შესაბამისი უწყებების მიერ. პანდემიის ან ეპიდემიის საშიშროების განმეორებით დადგომის შემთხვევაში, ჩვენი უნივერსიტეტი კიდევ უფრო მეტად მომზადებული იქნება როგორც მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ისე სხვა საჭირო რესურსებით. განვლილი თვეების ანალიზის შედეგად გარკვეული გამოცდილება დაგვიგროვდა. შესაბამისად, უფრო მეტად ვართ მობილიზებულნი და უფრო უკეთ შევძლებთ კრიზისულ სიტუაციასთან ადაპტირებას.

თუმცა, აქვე აღვნიშნავ, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, მოულოდნელი კრიზისული სიტუაციის მიუხედავადაც კი, მოწოდების სიმაღლეზე იდგა. ამის მაგალითია თსსუ-ის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის უაღრესად მნიშვნელოვანი წვლილი SARS CoV 2-თან ბრძოლაში. გარდა ამისა, ფუნქციობა არ შეუწყვეტია თსსუ-ის სტომატოლოგიურ კლინიკებს, რომლებიც, საგანგებო მდგომარეობის დროსაც კი, ეწეოდნენ გადაუდებელ სტომატოლოგიურ მომსახურებას. სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი ონლაინ რეჟიმში უწევდა კვალიფიციურ სამედიცინო კონსულტაციას ყველას, ვისაც კი ამის საჭიროება გააჩნდა, და არსებული სიტუაციის გამო, მოკლებული იყო შესაძლებლობას, განეხორციელებინა ექიმთან ვიზიტი.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ჩვენი სტუდენტებისა და რეზიდენტების წვლილი, რომლებიც უშუალოდ იყვნენ ჩართულნი როგორც კორონავირუსით დაავადებულთა მკურნალობის პროცესში, ასევე, გეგმავდნენ და ახორციელებდნენ სხვადასხვა სახის საქველმოქმედო ღონისძიებებს.

არსებული გამოწვევის ფონზე ქვეყანაში შექმნილი ეკონომიკური კრიზისის დროს, კორონავირუსთან ბრძოლის მიზნით, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა თავისი წვლილი შეიტანა და სოლიდური მატერიალური რესურსი გადარიცხა StopCov-ის ფონდში. ციფრებს შეგნებულად არ ვასახელებ, თუმცა, უნდა აღვნიშნო, რომ ეს მნიშვნელოვანი შენატანი იყო.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, მეამაყება, რომ ათეული წლებია, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის თანამშრომელი და მისი ნაწილი ვარ; მეამაყება, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, ამ ყოველდღიურობით, თავის სასიქადულო ისტორიას ქმნის.

ესაუბრა ლელა მუკბანიანი
ინტერვიუ ჩაწერილია 2020 წლის 28 მაისს

მიმდინარეობს თსსუ-ის მეორე კორპუსის რეაბილიტაცია

თსსუ-ის ახალი, მეხუთე კორპუსი

თსსუ-ის ადმინისტრაციულ კორპუსზე მიშენება სრულდება

COVID-19-ის ვირუსით გამოწვეულმა პანდემიამ მნიშვნელოვნად შეცვალა ჩვეული ცხოვრების წესი და ახალ გლობალურ წესრიგს შეგვაჩვია. საჯარო შეხვედრები ონლაინ ღონისძიებებმა, ცოცხალი ურთიერთობები – ვირტუალურმა ჩაანაცვლა. სამწუხაროდ, შექმნილი რეალობა, ჯერჯერობით, სხვა გზას არ ტოვებს, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ასეთი შეხვედრა, თავისი მნიშვნელობის და შინაარსის გათვალისწინებით, ძნელად თავსდება ამგვარი ფორმატით ურთიერთობის ჩარჩოში. სწორედ ასეთი ღონისძიება გახლავთ ღია კარის დღე აბიტურიენტებისთვის – ყველაზე მნიშვნელოვანი დღე მომავალი სტუდენტებისთვის, დღე, როცა ახალგაზრდები მოუთმენლად ელიან მომავალ უნივერსიტეტთან შეხვედრას, საუნივერსიტეტო გარემოს გაცნობას, საინტერესო შეკითხვებზე პასუხებს რექტორისა და დეკანებისგან... და აი, შეხვედრა, რომელსაც, ტრადიციულად, ყოველწლიურად საინტერესოდ და შთამბეჭდავად მასპინძლობდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, ამჯერადაც შედგა, თუმცა, წელს პირველად, 6 ივნისს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში აბიტურიენტებისთვის ღია კარის დღე დისტანციურ რეჟიმში, უნივერსიტეტის ოფიციალურ ფეისბუქ-გვერდზე, პირდაპირი ეთერის მეშვეობით გაიმართა.

შეხვედრას ონლაინ რეჟიმში წარმართავდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი **გიორგი ჭიჭინაძე,** რომელიც მიესალმა აბიტურიენტებს, წარმატებები უსურვა მათ და მოუწოდა, რომ კომენტარის სახით დაეტოვებინათ შეკითხვები, რომელსაც უნივერსიტეტის რექტორი, ვიცე-რექტორი, დეკანები, სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლები ამომწურავად უპასუხებდნენ.

აბიტურიენტებს მიმართა **თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ზურაბ ვადაჭკორიამ**, რომელმაც მადლობა გადაუხადა მათ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტით დაინტერესებისთვის, რწმენა გამოთქვა, რომ უჩვეულო ფორმატში ურთიერთობა წარსულში დარჩება და არა მხოლოდ ღია კარის დღე, არამედ არაერთი საინტერესო შეხვედრა უკვე პირისპირ შედგება ახალგაზრდებთან – აქ ხომ მათ ბევრი საინტერესო პროექტი, აქტივობა, მრავალფეროვანი სტუდენტური ცხოვრება ელით. უნივერსიტეტის რექტორმა აბიტურიენტებს გააცნო პრეზენტაცია უნივერსიტეტში მიმდინარე სასწავლო-აკადემიური პროცესისა და სტუდენტური ცხოვრების შესახებ. „როგორც ბოლო წლების ერთიანი ეროვნული გამოცდების რეიტინგები ცხადყოფს, ჩვენი უნივერსიტეტის მიერ დაწესებული უპრეცედენტოდ მაღალი საგამოცდო ბარიერის მიუხედავად, თსსუ დღესაც ყველაზე მოთხოვნადი უმაღლესი სამედიცინო სასწავლებელია საქართველოში. უნივერსიტეტი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სტუდენტზე ორიენტირებული საგანმანათლებლო სისტემის განვითარებას. თეორიული ცოდნის გარდა თქვენ შესაძლებლობა მოგეცემათ თანამედროვე სტანდარტების შესაბამის მაღალტექნოლოგიურ კლინიკებში განიმტკიცოთ ცოდნა; საერთაშორისო პროექტების განხორციელებისას, სტუდენტთა და პროფესორთა საზღვარგარეთ სტაჟირებაში, დიდია უცხოეთის კლინიკებში მოღვაწე უნივერსიტეტის სახელოვანი კურსდამთავრებულების: ირმა კვიცარიძის, გიორგი გრიგოლიას, არჩილ უნდილაშვილის ღვაწლი, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით მათ.

უნივერსიტეტში, გარდა სწავლისა, გექნებათ საუკეთესო პირობები, რომ თქვენი ნიჭი და შესაძლებლობები წარმოაჩინოთ ხელოვნებასა და სპორტში და იცხოვროთ საინტერესო სტუდენტური ცხოვრებით.

ჩვენი უნივერსიტეტის დევიზი მართებულადაა „ტრადიციებით მომავლისკენ"; სწორედ ასეთი დიდი ტრადიციების და ისტორიის მქონე უნივერსიტეტში თქვენ შეძლებთ მიიღოთ ხარისხიანი ცოდნა, რაც თქვენი მომავალი პროფესიული წარმატების სანინდარი იქნება", – აღნიშნა თსსუ-ის რექტორმა.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სტუდენტები ცოდნას ეუფლებიან ექვს ფაკულტეტზე: მედიცინის, სტომატოლოგიის, ფარმაციის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის და მენეჯმენტის, ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის, მედიცინის და სტომატოლოგიის საერთაშორისო ფაკულტეტებზე. ფაკულტეტების დეკანებმა, პროფესორებმა: **თინათინ ჩიქოვანმა, სამსონ მღებრიშვილმა, დალი ბერაშვილმა, ირაკლი მჭედლიშვილმა, ლელა მასხულიამ** ქართულენოვანი და უცხოურენოვანი პროგრამები გააცნეს აბიტურიენტებს, ესაუბრნენ საგანმანათლებლო ეტაპების დაძლევის შესაძლებლობებზე, სასწავლო გარემოზე, მაღალკვალიფიციურ სპეციალისტად ჩამოყალიბებისთვის უნივერსიტეტში შექმნილ პირობებსა და თეორიულ და პრაქტიკულ დეპარტამენტებში ცოდნის სრულყოფილად დაუფლების შესაძლებლობებზე, ასევე, სასწავლო-სამეცნიერო, საქველმოქმედო თუ კულტურულ ღონისძიებებში სტუდენტების ჩართულობის მნიშვნელობაზე.

დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის შესახებ, რომელიც აშშ-ის ემორის უნივერსიტეტის სამედიცინო სკოლასთან ერთად ხორციელდება, ისაუბრა პროგრამის დირექტორმა, ასოცირებულმა პროფესორმა **ეკა ეკალაძემ** და იმ შესაძლებლობებსა და უპირატესობებზე გაამახვილა ყურადღება, რაც პროგრამის სტუდენტებს ხარისხიანი ცოდნის მიღების, კურსდამთავრებულებს - დასაქმების საშუალებას მისცემს.

საექთნო და პროფესიული პროგრამების შესახებ აბიტურიენტებს ინფორმაცია მიაწოდა საექთნო საბაკალავრო და პროფესიული პროგრამების კოორდინატორმა **მედეა ჯღარკავამ**, რომელმაც აღნიშნა, რომ ქართულ-ავსტრიული პროგრამა მომავალ ექთნებს საშუალებს აძლევს ევროპული სტანდარტების შესაბამისად დაეუფლონ პროფესიას, გერმანული ენის მცოდნე სტუდენტებს კი უნიკალურ შანსი ექნებათ სტაჟირება გაიაროონ ინსბრუკის საუნივერსიტეტო კლინიკაში.

უნივერსიტეტის საერთაშორისო კონტაქტებზე აბიტურიენტებს ესაუბრა საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ასისტენტ-პროფესორი **თინათინ კილასონია.**

აბიტურიენტებს მიმართა თსსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტმა **ანა კაკაბაძემ**, რომელმაც სტუდენტური თვითმმართველობის არსსა და მიზნებზე, პრიორიტეტულ მიმართულებებზე, განხორციელებულ საინტერესო პროექტებსა და ღონისძიებებზე ისაუბრა, რაც მრავალფეროვანი სტუდენტური ცხოვრების განმსაზღვრელია.

აბიტურიენტებს საშუალება ჰქონდათ ონლაინ რეჟიმში, ვიდეომასალის საშუალებით, გაცნობოდნენ საუნივერსიტეტო ცენტრებს და ამ ცენტრებში პროფესიული უნარ-ჩვევების ათვისების შესაძლებლობებს, თვალი ედევნებინათ კლინიკური უნარების და მულტიდისციპლინური სიმულაციის დეპარტამენტში, თანამედროვე სამედიცინო სიმულატორების და მულაჟების გამოყენებით, კლინიკური უნარ-ჩვევების დაუფლების საინტერესო მანიპულაციებისთვის; წარმოდგენილი იყო უნივერსიტეტში სხვადასხვა დროს ჩატარებული მნიშვნელოვანი და საინტერესო ღონისძიებების ამსახველი ფოტო და ვიდეომასალა, რაც მომავალ სტუდენტებს სრულ წარმოდგენას უქმნიდა მდიდარ და მრავალფეროვან საუნივერსიტეტო ცხოვრებაზე.

აბიტურიენტებს შესაძლებლობა ჰქონდათ ელექტრონულ ფოსტაზე წინასწარ გამოეგზავნათ ან ღონისძიების მსვლელობისას კომენტარის სახით დაეტოვებინათ შეკითხვები და პირდაპირი ეთერის რეჟიმში მიეღოთ ამომწურავი პასუხები მათთვის საინტერესო საკითხებთან დაკავშირებით.

აბიტურიენტების შეკითხვები შეეხებოდა დასაქმების და კარიერული წინსვლის პერსპექტივებს, უნივერსიტეტის კლინიკურ ბაზებში ცოდნის გაღრმავების შესაძლებლობას, მობილობასა და დიპლომისშემდგომ განათლებასთან, ასევე, უცხოეთში სტაჟირებასა და გაცვლით პროგრამაში ჩართულობასთან დაკავშირებულ საკითხებს, უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურას, მიმდინარე სამშენებლო-სარეკონსტრუქციო პროექტებს, მისაღებ გამოცდებთან დაკავშირებულ დეტალებს, დისტანციური სწავლების ხანგრძლივობას და ა. შ.

აბიტურიენტების შეკითხვებს ამომწურავად უპასუხეს უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა **ზურაბ ვადაჭკორიამ**, ვიცე-რექტორმა აკადემიური მიმართულებით, პროფესორმა **ხათუნა თოდაძემ**, საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, ასისტენტ-პროფესორმა **თინათინ კილასონიამ**, ფაკულტეტების დეკანებმა.

შეხვედრის დასასრულს, უნივერსიტეტის რექტორმა კიდევ ერთხელ მიმართა აბიტურიენტებს და ექიმის პროფესიის მნიშვნელობასა და სირთულეზე გაამახილა ყურადღება. აღნიშნა, რომ თსსუ-ში სწავლა არ იქნება ადვილი, რომ სტუდენტებს თავდაუზოგავი სწავლა და შრომა დასჭირდებათ მიზნის მისაღწევად. „ჩვენს უნივერსიტეტში გარდა მთავარი სლოგანისა – „ტრადიციებით მომავლისკენ" – მნიშვნელოვანი და აქტუალურია მეორე სლოგანიც: „თსსუ-ში მთავარი პერსონა სტუდენტია". დიახ, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ყველაფერი სტუდენტზეა ორიენტირებული, სტუდენტზე, ვისაც სრულად აქვს გააზრებული ექიმის პროფესიის არსი და სირთულე. და თუკი, მიუხედავად ამ სირთულეების გაცნობიერებისა, მტკიცედ გაქვთ გადაწყვეტილი, გახდეთ ექიმი, მაშინ ეს უნივერსიტეტი თქვენი მომავალი უნივერსიტეტია", – აღნიშნა რექტორმა.

ღია კარის დღე აბიტურიენტებისთვის, რომელიც, წელს პირველად, დისტანციურ რეჟიმში წარიმართა, დასრულდა. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელების ბევრი მსურველი ესტუმრა და ისევ ესტუმრება თსსუ-ის ფეისბუქ-გვერდს, ბევრ მათგანს კიდევ ექნება დრო და მიეცემა შესაძლებლობა შეკითხვებზე მიიღოს ამომწურავი პასუხები და დარწმუნდეს არჩევანის სისწორესა და უპირატესობაში, დარწმუნდეს იმაში, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტობა მართლაც საამაყო და პრესტიჟულია.

მოამზადა ნატო გოლქვაძემ

1 ივნისი – ბავშვთა დაცვის დღე

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკა ქვეყნის სამსახურში

თსსუ-ის გივი ჟვანიას პედიატრიის აკადემიური კლინიკა ერთგვარი მექაა ქვეყნის პედიატრიული სამსახურისა. კლინიკის აკადემიური პერსონალი აღიარებულ პროფესიონალთა დიდი გუნდია, რომლის ცოდნა-გამოცდილებაზეც მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული ნორჩი პაციენტების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხარისხი.

ბავშვთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, გადავწყვიტეთ, ერთგვარ მრგვალ მაგიდასთან მოგვეწვია კლინიკის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი ლია ძიძიგური და თსსუ-ის დეპარტამენტების ხელმძღვანელები, პროფესორები – მარინე გორდელაძე, ნანა გელაძე, მაია ხერხეულიძე, ყარამან ფაღავა, რომლებიც გვესაუბრებიან თსსუ-ის გივი ჟვანიას პედიატრიის აკადემიური კლინიკის დღევანდელობის შესახებ, გაგვიზიარებენ თავიანთი საქმიანობის სიახლეებს, ისაუბრებენ იმის შესახებ, თუ რას პირდება კლინიკა პატარა პაციენტებს დიაგნოსტიკისა და მკურნალობის თვალსაზრისით.

საჭიროდ ჩავთვალეთ საუბარი წარმართულიყო მოზარდთა ასაკისთვის მნიშვნელოვანი – ამჟამად წინა პლანზე მდგარი საჩინო პრობლემების შესახებაც, რამეთუ მედიკოსების მათ მიმართ სწორი მიდგომით, ვფიქრობთ, შესაძლებელია, ნაწილობრივ მაინც მოგვარდეს რიგი სირთულეები, რაც თაობის პიროვნული ჩამოყალიბება-განვითარების გზაზე იჩენს ხოლმე თავს.

ამჟამად მორეციდივე ინფექცია – COVID-19 ისევ რჩება ჩვენთან და მისი საბოლოო აღმოფხვრა უახლეს პერიოდში, ჩანს, ვერც მოხერხდება, ამიტომ გვაინტერესებდა კლინიკის მზაობა ვირუსთან ბრძოლის თვალსაზრისითაც, ასევე, ისიც, თუ როგორ მოხდება კლინიკის გონებრივი და მატერიალური რესურსების მობილიზება და რამდენად მზად იქნება ჰოსპიტალური სექტორი ინფექციის კონტროლისა და მოსალოდნელი სიტუაციის სამართავად.

ინფექციის არსებობის პირობებში, ცვლილებები განიცადა თსსუ-ის სასწავლო პროცესმა – სწავლების ჩვეული სისტემა ჩანაცვლდა დისტანციური სწავლების მეთოდით, აღარ მიმდინარეობს მეცადინეობები აუდიტორიებსა თუ ჩვეულ კლინიკურ გარემოში, რაც, გარკვეულწილად, სირთულის წინაშე აყენებს პედაგოგსაც და სტუდენტსაც. საინტერესოა, როგორ გადაეწყო კლინიკა ახალი ვალდებულებების შესასრულებლად და რამდენად მოახერხეს მათ განსხვავებულ ფორმატში მუშაობა.

ჯანმრთელობა, ინტელექტუალური განვითარება, სწორი კვება, ფიზიკური აქტივობა, ჯანსაღი ცხოვრების წესი, ბავშვთა დაცვა, ეროვნული კულტურული მენტალიტეტის დამკვიდრება-განმტკიცება – სწორედ ის ფაქტორებია, რომელთა გონივრული და მიზანმიმართული განვითარებით და ხელშეწყობით, მოხდება კიდეც თანამედროვე ახალგაზრდა თაობის სწორი პიროვნული რეალიზება.

❖❖❖

ასოცირებული პროფესორი ლია ძიძიგური, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გივი ჟვანიას პედიატრიის აკადემიური კლინიკის დირექტორი:

დრო და გარემოებანი, ფაქტობრივად, ცვლის დამოკიდებულებას ამა თუ იმ საკითხისადმი და ჯანდაცვის სისტემაც ყოველთვის ღირსეულად დგას ქვეყნის მოსახლეობის, ჩვენს შემთხვევაში - ნორჩი პაციენტების, ჯანმრთელობის დაცვის სადარაჯოზე, რადგანაც სწორად წარმართული პრევენციული ღონისძიებები ხელს უწყობს არსებული პრობლემების მნიშვნელოვან მოგვარებას.

სიახლის თვალსაზრისით, აღვნიშნავთ იმას, რომ კლინიკის ბაზაზე ჩამოყალიბდა საქართველო-ისრაელის ბავშვთა ქირურგიული ცენტრი, რომელიც თანამედროვე მაღალტექნოლოგიურ სამედიცინო მომსახურებას სთავაზობს პაციენტს და მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებას.

მიმდინარე წლიდან მუშაობა დაიწყო პროექტმა თსსუ-სა და გერმანიის ბავშვთა და მოზარდთა მედიცინის ასოციაციას შორის, რომლის ფარგლებში დაგეგმილია უცხოელ პროფესორთა ვიზიტები ჩვენს კლინიკაში.

COVID-19 ინფექციის ფონზე, დღეს მთელი მსოფლიო მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშე დგას. თსსუ-ის გივი ჟვანიას პედიატრიის აკადემიურ კლინიკაში, ყველა პაციენტს -ცხელებით, უტარდება PCR კვლევა SARS-Cov-2-ზე, აკადემიურ პერსონალმა კი გაიარა შესაბამისი ტრენინგები. მსოფლიოში არსებული გამოცდილების საფუძველზე, შემუშავებულია პანდემიის დროს პაციენტების მართვის გაიდლაინები და პროტოკოლები.

მიუხედავად გავრცელებული მოსაზრებისა, რომ COVID-19 ინფექცია ,,ნაკლებად ერჩის პატარებს" და რომ მათ შემთხვევაში იგი გაცილებით მსუბუქად მიმდინარეობს, არ გვაძლევს წუთით მოდუნების საშუალებასაც კი. კლინიკის სამედიცინო პერსონალი ყოველმხრივ მზადაა, მაღალკვალიფიციური დახმარება აღმოუჩინოს ყველას, ვინც მოგვმართავს და ჩვენგან დახმარებას ითხოვს.

პროფესორი მაია ხერხეულიძე, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პედიატრიის N1 დეპარტამენტის ხელმძღვანელი:

COVID-19, ანუ კორონავირუსით განპირობებული დაავადება – სასუნთქი სისტემის პოტენციურად მძიმე ინფექციაა, რომლის გამომწვევია ახალი ტიპის კორონავირუსი (SARS-CoV-2). დაავადების პირველი შემთხვევა ჩინეთის ქალაქ უხანში დაფიქსირდა, თუმცა, ეს არ არის პირველი ამ ტიპის ინფექცია მსოფლიოში - 2002 და 2012 წელს, ასევე, ვლინდებოდა კორონავირუსული ინფექციის აფეთქება, მაგრამ მოხერხდა ინფექციის ლოკალიზება და პანდემიის პრევენცია. SARS-CoV-2 სრულიად ახალი ვირუსია და მის შესახებ ბევრი დეტალი ბოლომდე ჯერ კიდევ არ არის ცნობილი. დაავადება ვრცელდება წვეთოვანი და კონტაქტური გზით, ვირუსი, ასევე, გადაეცემა დაინფიცირებული ზედაპირიდან, რომელზეც შესაძლებელია ვირუსი ფიქსირდებოდეს რამდენიმე საათიდან დღეებამდე. ადამიანს შეიძლება არ ჰქონდეს დაავადების არანიარი სიმპტომი, მაგრამ იყოს ინფიცირებული და, შესაბამისად, ინფექციის გამავრცელებელი.

სტატისტიკური მონაცემები ადასტურებს, რომ მოზრდილებისგან განსხვავებით, ბავშვებში COVID-19 ინფიცირების სიხშირე შედარებით ნაკლებია. ბავშვთა ასაკში დაავადება ძირითადად მიმდინარეობს მსუბუქად, ზედა სასუნთქი გზების ინფექციის სახით, ხშირია უსიმპტომო ფორმებიც, ბავშვები ნაკლებად საჭიროებენ სტაციონარში ჰოსპიტალიზაციას და ინტენსიურ თერაპიას. ჩინეთში ჩატარებული კვლევის მიხედვით, 2135 ბავშვთან დადასტურებული და საეჭვო COVID-19 შემთხვევიდან კრიტიკულ თერაპიაში მკურნალობა დასჭირდა მხოლოდ 13 ბავშვს (0,6 %). ანალოგიურია ჟურნალ ,,Acta Pediatrica''-ში დაბეჭდილი 45 კვლევის მეტაანალიზის მონაცემებიც, რომლის მიხედვითაც, COVID-19-ით დაავადებულ პირთა შორის ბავშვთა ხვედრითი წილი 15-%-ს შეადგენს. ვინაიდან ვირუსს სულ რამდენიმე თვის ისტორია აქვს, შესაბამისად, სამედიცინო მტკიცებულება, თუ რატომ ვითარდება დაავადება შედარებით მსუბუქად ბავშვებში, ჯერჯერობით დადასტურებული არ არის, თუმცა, არსებობს სხვადასხვა მოსაზრება: განსხვავებული იმუნური პასუხი დაავადებაზე და შედარებით უმნიფარი იმუნური სისტემა, თანდაყოლილი იმუნიტეტის არსებობა, სხვა ვირუსული ინფექციების მაღალი მაჩვენებელი, ქრონიკული ნაკლები ალბათობა, ვაქცინაციასთან ასოცირებული ჯვარედინი დაცვის უნარი. საინტერესოა მოსაზრე-

გაგრძელება გვ 6- ზე

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკა ქვეყნის სამსახურში

დასაწყისი გვ 5-ზე

ბა, რომლის მიხედვითაც, ბავშვებში ინფექციის მსუბუქი მიმდინარეობა დაკავშირებულია ანგიოტენზინ-კონვერტირებადი ენზიმ (ACE 2) რეცეპტორების ნაკლებობასთან, განსაკუთრებით ქვედა სასუნთქ გზებში, აღნიშნული რეცეპტორები მონაწილეობს SARS Cov2-ის ფიქსაციის და უჯრედში შეღწევის პროცესში. მოზრდილებში, განსაკუთრებით მამაკაცებში, რეცეპტორები უფრო მეტია, რაც განაპირობებს დაავადების შედარებით მძიმედ მიმდინარეობას. ამავე რეცეპტორებს უკავშირებენ ალერგიიის მქონე პირებში დაავადების შედარებით ნაკლებ გავრცელებას, თუმცა, ზუსტი მტკიცებულებები დღეისთვის არ არსებობს.



უნდა აღინიშნოს, რომ 1 წლამდე ასაკის (ახალშობილები და ჩვილები) და ქრონიკული დაავადებების მქონე ბავშვებს უვლინდებათ გართულებების განვითარების შედარებით მაღალი რისკი. უკანასკნელ პერიოდში იტალიას, ინგლისსა და აშშ-ში COVID-19 -ის მქონე ბავშვებში გამოვლინდა კავასაკის დაავადების მსგავსი სიმპტომოკომპლექსისა და ჰიპერინფლაციით მიმდინარე შოკის სინდრომის ერთეული შემთხვევები, რაც დღეს განიხილება, როგორც პედიატრიული მულტისისტემური ანთებითი სინდრომი. 1 ივნისს ჟურნალ ,,ლანცეტში'' გამოქვეყნდა იტალიელი მკვლევრების სტატია, რომელშიც მოცემულია მიოკარდიუმის გამოხატული დაზიანების მქონე 9 პაციენტის კლინიკური შემთხვევის ანალიზი, რომლებიც მკურნალობას გადიოდნენ კრიტიკული თერაპიის განყოფილებაში. პედიატრიულ მულტისისტემურ ანთებით დაავადებაზე საუბრობენ, თუ 0-18 წლის ასაკის ბავშვს ცხელებით > 3 დღეზე, აქვს დამატებით ქვემოთ მოყვანილი, მინიმუმ, 2 ნიშანი:

♦გამონაყარი ან ბილატერალური არაჩირქოვანი კონიუქტივიტი, ან კანისა და ლორწოვანის ანთების ნიშნები;
♦ჰიპოტენზია, შოკი;
♦მიოკარდიუმის დისფუნქცია, პერიკარდიტი, ვალვულიტი, ან კორონარული ანომალია (ანეული ტროპონინი და ენზიმები, ექოკარდიოგრაფიის ცვლილებები);
♦კოაგულოპათია (თრომბოციტების ცვლილება, და – დიმერის მომატება);
♦მწვავე გასტროინტესტინალური პრობლემები (დიარეა, ღებინება, ან მუცლის ტკივილი) და
♦ანთებითი მარკერების მომატება (ედსი, ,,c'' რეაქტიული ცილა, ან პროკალციტონინი) და
♦არ ვლინდება ანთების სხვა დადგენილი ბაქტერიული მიზეზი, მათ შორის, ბაქტერიული სეფსისი, ან სტაფილო, ან სტრეპტოკოკული შოკის სინდრომი და
♦დადასტურებული COVID-19 ან კონტაქტი COVID-19-ის მქონე პაციენტთან.

თუ პაციენტს აღენიშნება მოცემული სიმპტომები, მნიშვნელოვანია დაუყოვნებლივ ექიმთან ვიზიტი.

ბავშვთა ასაკში ინფექციის და მასთან ასოცირებული პრობლემების თავიდან ასაცილებლად, მეტად მნიშვნელოვანია უკვე ყველასთვის კარგად ცნობილი ძირითადი რეკომენდაციების დაცვა, როგორიცაა: სოციალური დისტანცია, პირადი და ზოგადი ჰიგიენის პრინციპები, იმუნიტეტის ხელშენყობა, დაავადების პირველივე ნიშნების შემთხვევაში სამედიცინო დაწესებულებისთვის მიმართვა.

COVID-19-ის პანდემიამ მნიშვნელოვნად შეცვალა თითოეული ჩვენგანის ცხოვრების წესი, თითქოსდა სამყარო „გაჩერდა“, თუმცა, სამედიცინო დაწესებულების წარმომადგენლები მთელი ამ ხნის მანძილზე, დღისით თუ ღამით, ჩვეული პასუხისმგებლობით, ენთუზიაზმითა და ენერგიით, აგრძელებდნენ და აგრძელებენ მუშაობას ჩვენი საზოგადოების თითოეული წევრის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესანარჩუნებლად და სიცოცხლის გადასარჩენად.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკა ერთ-ერთი მათგანია, რომელსაც წუთით არ შეუწყვეტია პატარა პაციენტებზე ზრუნვა კორონავირუსული პანდემიის პირობებშიც. პედიატრიული აკადემიური კლინიკა თითოეული ბავშვის ექიმის „ალმა მატერია", მომავალი პედიატრების, ბავშვთა ნევროლოგების, ბავშვთა ზოგადი ქირურგების და ყბა-სახის ქირურგების, ენდოკრინოლოგების, თუ გადაუდებელი დახმარების ექიმების სამჭედლოა, სადაც ხდება მომავალი პროფესიის თითოეული დეტალისა და ნიუანსის შესწავლა.

თსსუ-ის გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკა წამყვანი მრავალპროფილური დაწესებულებაა, რომლის ფუნქციობაც მოცემული სახელით, 2011 წლიდან იწყება, თუმცა, კლინიკა არსებობის ხანგრძლივ ისტორიას ითვლის და დიდი ტრადიციების მქონეა. მისი ისტორია იწყება ყოფილი ბავშვთა მეორე, შემდგომში - ბავშვთა მეექვსე საავადმყოფოდან, რომელიც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ბავშვთა სამედიცინო მომსახურების სასწავლო ბაზას წარმოადგენდა და, სამედიცინო საქმიანობის პარალელურად, ხორციელდებოდა სასწავლო-საგანმანათლებლო პროცესი თსსუ-ის სტუდენტებისა და რეზიდენტებისთვის. კლინიკის ისტორია ნამდვილად გამორჩეულია მასში მოღვაწე უბადლო პროფესიონალებით, ყველასთვის ცნობილი და საყვარელი ექიმებით, პროფესორებითა და პედაგოგებით და, მათ შორის, რომელი ერთი შეიძლება ჩამოვთვალოთ – პროფესორები: გივი ჟვანია, მარიამ გრიგალაშვილი, ავთანდილ კვეზერელი-კოპაძე, იოსებ კვაჭაძე, ირაკლი ციციშვილი, თამაზ გაჩეჩილაძე, ლეო ავალიანი და მრავალი სხვა. თსსუ-ის გ. ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკა კვლავაც აგრძელებს ტრადიციებს და განაგრძობს სამკურნალო, სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობას. კლინიკაში არაერთი გამორჩეული, პაციენტის, სტუდენტისა და კოლეგისთვის საყვარელი სპეციალისტი აგრძელებს მუშაობას.

თსსუ-ის გ. ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკა 0-დან 18 წლამდე ასაკის პაციენტებს სთავაზობს მსოფლიო სტანდარტების შესაბამის სტაციონარულ, გადაუდებელ და ამბულატორიულ მკურნალობასა და დიაგნოსტიკურ მომსახურებას. კლინიკის სტრატეგია და მკურნალობის ტაქტიკა ეფუძნება მტკიცებითი მედიცინის რეკომენდაციებს. მასში დანერგილია უახლესი სამედიცინო ტექნოლოგიები. კლინიკის წამყვანი მიმართულებებია: პედიატრიული, ზოგადი ქირურგიული, ბავშვთა და მოზარდთა სტომატოლოგიისა და სტომატოლოგიურ დაავადებათა პროფილაქტიკის, ნევროლოგიის, ენდოკრინოლოგიის, ყელ-ყურ-ცხვირის დაავადებათა მიმართულებები. კლინიკაში ფუნქციობს კრიტიკული მედიცინის, ნეონატოლოგიის, გადაუდებელი დახმარებისა და ამბულატორიის დეპარტამენტები, ამ უკანასკნელში წარმოდგენილია, პრაქტიკულად, ყველა სპეციალობის ექიმი. კლინიკა გაშლილია 82 საწოლზე, აღჭურვილია თანამედროვე დიაგნოსტიკური აპარატურით და დაკომპლექტებულია უმაღლესი კვალიფიკაციის სამედიცინო პერსონალით.

კლინიკა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომამდელ და დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების ბაზას წარმოადგენს, რაც კლინიკის კონცეფციის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს – ახალგაზრდა სამედიცინო კადრების მომზადებას უზრუნველყოფს. კლინიკის პერსონალი აქტიურ მონაწილეობას იღებს საგანმანათლებლო პროგრამებში, რეგულარულად ტარდება სასწავლო-პრაქტიკული მეცადინეობები ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე, როგორც ქართველი, ისე უცხოელი სტუდენტებისა და რეზიდენტებისთვის.

კორონავირუსის პირობებში, სასწავლო პროცესიც შეიცვალა და ონლაინ რეჟიმში გადაინაცვლა, რამაც გარკვეული ცვლილებები შეიტანა კლინიკური დისციპლინების სწავლების პროცესში, თუმცა, თითოეულ ლექციასა და პრაქტიკულ მეცადინეობაზე ხდება კლინიკური სიტუაციების და საინტერესო შემთხვევების განხილვა, ლაბორატორიული კვლევის შედეგების ანალიზი, ტარდება ანამნეზის შეგროვების და კონსულტირების სიმულირებული პროცესების წარმართვა. ამჟამად ონლაინ მეცადინეობას ემატება მცირე ჯგუფებთან პრაქტიკული მეცადინეობის ჩატარება კლინიკაში, უშუალოდ, პაციენტების საწოლთან, რაც ხელს უწყობს, თეორიულ ცოდნასთან ერთად, კლინიკური უნარ-ჩვევების ათვისებას. კლინიკა ჩართულია ექიმთა გადამზადების და უწყვეტი სამედიცინო განათლების პროცესში.

აღსანიშნავია, რომ მუდმივად ხდება სამედიცინო პერსონალის გადამზადება ევროპისა და ამერიკის წამყვან კლინიკებში, ტარდება ერთობლივი კონფერენციები და კონსილიუმები. კლინიკა, უცხოელ კოლეგებთან ერთად, ჩართულია არაერთ ერთობლივ პროექტში, ხშირია ცნობილი უცხოელი პროფესორების ვიზიტი, რომლებიც, კლინიკურ საქმიანობასთან ერთად, მონაწილეობენ სასწავლო პროცესში და გამოცდილებას უზიარებენ ქართველ კოლეგებს.

კლინიკაში ხორციელდება სამეცნიერო-კვლევითი ღონისძიებები, რაც ნებისმიერ სფეროში განვითარების აუცილებელ პირობას წარმოადგენს. კლინიკის თანამშრომელთა ნაშრომები წარმოდგენილია არაერთ საერთაშორისო კონფერენციაზე და დაბეჭდილია საყოველთაოდ ცნობილ სამეცნიერო გამოცემებში.

ამრიგად, თსსუ-ის გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკა დღეისთვის უზრუნველყოფს ბავშვებისა და მოზარდებისთვის თანამედროვე მსოფლიო სტანდარტების შესაბამის სრულ სტაციონარულ, გადაუდებელ და ამბულატორიულ სამედიცინო მომსახურებას.

პროფესორი ნანა გელაძე, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ბავშვთა ნევროლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი:

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ბავშვთა ნევროლოგიის დეპარტამენტი აგრძელებს ათწლეულების განმავლობაში დაფუძნებულ ტრადიციებს და დღესაც ყველაფერს აკეთებს მაღალი აკადემიზმისა და პროფესიული განვითარების შესანარჩუნებლად.

ბავშვთა ნევროლოგიის დეპარტამენტის შემადგენლობა – პროფესორი ნანა გელაძე, ასოცირებული პროფესორი ნანა ხაჭაპურიძე, ასოცირებული პროფესორი სოფიო ბახტაძე, ასისტენტ-პროფესორი ნანა კაპანაძე, უფროსი ლაბორანტი თინათინ ნადირაძე – თსსუ-ის გივი ჟვანის სახელობის პედიატრიის აკადემიურ კლინიკაში აწარმოებს, არა მარტო სასწავლო და სამკურნალო საქმიანობას, არამედ აქტიურადაა ჩართული სამეცნიერო მუშაობაშიც. გამოქვეყნებული გვაქვს მრავალი სამეცნიერო ნაშრომი, როგორც ადგილობრივ, ასევე, უცხოურ ჟურნალებში. გასულ წლებში, ევროპის პედიატრიული ნევროლოგიის ასოციაციის და ჩვენი დეპარტამენტის მონაწილეობით, ჩატარდა სამი სასწავლო ტრენინგი ბავშვთა ნევროლოგიაში, რომელშიც მონაწილეობდნენ ევროპის სხვადასხვა ქვეყნის წამყვანი ბავშვთა ნევროლოგები. 2014 წლიდან მიმდინარეობს საგრანტო სამეცნიერო კვლევა – ,,ლაკოზამიდის გამოყენება დამხმარე თერაპიის სახით 0-დან 18 წლამდე ასაკის პარციალური ეპილეფსიის მქონე პაციენტებში". მიმდინარეობს სხვადასხვა ნევროლოგიური დაავადების მქონე პირების მკურნალობა ბიოუკუკავშირის მეთოდით; ტარდება ეპილეფსიით დაავადებული ბავშვების მკურნალობა ვიგაბატრინით, ეთოსუქსიმიდით; ამჟამად იგეგმება კვლევა – ,,ბრივრაცეტამის გამოყენება აბსანს-ეპილეფსიის მქონე ბავშვებში".

პროფესორ ნანა გელაძის (4 დოქტორანტი) და ასოცირებულ პროფესორ ნანა ხაჭაპურიძის (3 დოქტორანტი), ხელმძღვანელობით, ბოლო 5 წლის განმავლობაში მომზადდა და მოხდა 7 სადოქტორო დისერტაციის საჯაროდ დაცვა, მიმდინარეობს სამწლიანი რეზიდენტურის პროგრამა – ,,ბავშვთა ნევროლოგია" (პროგრამის დირექტორი, პროფესორი ნ. გელაძე). კლინიკის ბაზაზე სისტემატიურად ტარდება სამეცნიერო კონფერენციები რთული პაციენტების და სხვადასხვა ავადობის მკურნალობისა და კვლევის თანამედროვე გაიდლაინების გარჩევით.

გასულ წელს ვთარგმნეთ და გამოვეცით ინგლისელი ნევროლოგის, პროფესორ კოლინ კენედის, სახელმძღვანელო – „ჩვილობის ასაკის ბავშვთა ნევროლოგიის საფუძვლები" (მთავარი რედაქტორი – ს. ბახტაძე, რედაქტორები – ნ. გელაძე, ნ. ხაჭაპურიძე). დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი ს. ბახტაძე აირჩიეს ევროპის ბავშვთა ნევროლოგიის – EPNS-ის საბჭოს წევრად, 2020 წლის იანვარიდან იგი დაინიშნა თსსუ-ის ვიცე-რექტორად. 2013 წელს ჩვენი დეპარტამენტის მიერ შეიქმნა ბავშვთა ნევროლოგიისა და ქცევითი დარღვევების ასოციაცია, რომელიც აქტიურად თანამშრომლობს უცხოელ კოლეგებთან. დეპარტამენტის ექიმები მონაწილეობენ კლინიკის გასვლით ღონისძიებებში.

კლინიკის ბაზაზე ფუნქციობს თანამედროვე ვიდეო ეეგ მონიტორინგი, ასევე, ელექტრონეირომიოგრაფია, ნეიროსონოსკოპია და კომპიუტერული ტომოგრაფია. დეპარტამენტის თანამშრომლები მუდმივად გრძნობენ თსსუ-ის რექტორატის და კლინიკის ადმინისტრაციის მხარდაჭერას, როგორც კლინიკურ, ასევე, სამეცნიერო საქმიანობაში.

დეპარტამენტის მუშაობის პრიორიტეტად რჩება ეპილეფსია, ბავშვთა და მოზარდთა ასაკის ეპილეფსიის სხვადასხვა სინდრომი, ქცევითი დარღვევები, ნერვ-კუნთოვანი პათოლოგია, მენტალური და ქცევითი დარღვევები, აუტიზმი.

რაც შეეხება ამჟამად მსოფლიოში მიმდინარე COVID-19-ის პანდემიას, უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდში დეპარტამენტის ყველა პროფესორი ატარებს ონლაინ ლექცია-პრაქტიკულებს და არ შეწყვეტილა სტაციონარში ნევროლოგიური პაციენტების კონსულტირება და მკურნალობა.

სრულიად ვეთანხმები ფრანგი მწერლის, ანტუან დე სანტ ეგზიუპერის, მოსაზრებას, რომ – ,,ცხოვრებაში არაფერია ადამიანებს შორის ურთიერთობაზე მნიშვნელოვანი", ასე, რომ, არანაირი ონლაინ და სხვადასხვა დამხმარე საშუალებით სწავლება, არ შეცვლის სტუდენტსა და პედაგოგს შორის ცოცხალ ურთიერთობას. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ინფორმაციის წყარო არის საზღვრებს გარეთ, ან მსმენელს უჭირს გადაადგილება. რაც შეეხება დასწრებას, თითქმის 100 %-იანი გვქონდა, სწავლის ხარისხით კი, ისევ რჩება დიფერენციაცია ძლიერ და სუსტ სტუდენტებს შორის.

ვინაიდან კლინიკის ბაზაზე COVID-19-ის დიაგნოზით პაციენტი არ წოლილა, ვეყრდნობით საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს, საქართველოს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მონაცემებს, ასევე, უცხოელ კოლეგებთან ურთიერთობის შედეგად მიღებულ ინფორმაციას, რომელთა მონაცემებით, ბავშვთა ასაკის COVID-19-ის ნევროლოგიურ გართულებებს წარმოადგენს – ენცეფალიტები, სხვადასხვა ხარისხის ტოქსიური ენცეფალოპათიები, ასევე, ვირუსის ფონზე, ჰიპერთერმიის დროს ეპილეფსიის ხშირი რეციდივები.

პროფესორი ყარამან ფაღავა, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ბავშვთა და მოზარდთა მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელი:

ცხადია, პანდემია ჯერ არ ჩათავებულა, მაგრამ უკვე შეიძლება ითქვას, რომ ქვეყნის ჯანდაცვის სისტემამ ჯეროვნად უპასუხა გამოწვევებს. თუ შევადარებთ სხვა ქვეყნებს, თუნდაც, მეზობელი ქვეყნების მონაცემებს, ჩვენთან სიტუაცია აშკარად უკეთესია (ჯერ-ჯერობით, მაინც).

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს სადღეისოდ ჯანმრთელობის დაცვის სისტემის უმნიშვნელოვანესი პრობლემების გადაწყვეტის საქმეში – თსსუ-ის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკა COVID-19-ის რეფერალური ცენტრის ფუნქციას ასრულებს, გივი ჟვანიას პედიატრიის აკადემიურ კლინიკაშიც უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს სპეციალისტთა მიერ სათანადო კონსულტაციების და მაღალპროფესიული რჩევა-დარიგებების გაცემა.

კორონავირუსული ინფექციის გავრცელებამ კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ, მიუხედავად ტექნოლოგიური და სამეცნიერო მიღწევებისა, მიკროსამყარო ჩვენზე „ჭკვიანია" და ყოველთვის გვისწრებს წინ ერთი ნაბიჯით. ჩვენ იძულებული ვხდებით, უკვე შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, მივყვეთ მას და შევიმუშავოთ პრევენციის და მკურნალობის ღონისძიებები.

ახალი კორონავირუსული ინფექცია, თავისი მიმდინარეობით, ამ დრომდე შეუსწავლელია. დღეს მხოლოდ სხვადასხვა ქვეყნის კლინიკურ შემთხვევებზე დაკვირვებითაა შესაძლებელი დასკვნების გამოტანა. საქართველოც და მსოფლიოც ჯერ მხოლოდ მონაცემების შეგროვების ფაზაშია. არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით კი შეგვიძლია ვთქვათ, რომ კორონავირუსული ინფექცია ყველა ასაკობრივ ჯგუფში და, მათ შორის, ბავშვებშიც, მეტ-ნაკლებად თანაბრად ვრცელდება, თუმცა, ბავშვთა ასაკში ნაკლებად ვხვდებით გართულებულ შემთხვევებს და დაბალია სიკვდილიანობის მაჩვენებელიც. ეს, სავარაუდოდ, შეიძლება გამოწვეული იყოს ბავშვის ჯერ კიდევ უმწიფარი იმუნური და სხვა ორგანოთა სისტემებით, განუვითარებელი რეცეპტორული აპარატით, რის გამოც ახალი კორონა ვირუსის მიერ გამოწვეული ე.წ. ციტოკინური ქარიშხალი ნაკლები ინტენსივობისაა. ამასთანავე, ვარაუდობენ, რომ გენეტიკური აცრები გარკვეულ იმუნურ ბარიერს ქმნის. ყველა ეს მოსაზრება საჭიროებს გადამოწმებას და დაზუსტებას, რასაც უნდა დრო და მთელი რიგი კვლევები.

ასევე, გაურკვეველია, რა შორეულ შედეგებს უნდა ველოდოთ ახალი კორონავირუსული ინფექციის გადატანის შემდეგ. შესაძლებელია, მან პროვოცირება გაუკეთოს სხვადასხვა სისტემურ დაავადებას. ამის მაგალითია მსოფლიოში, კორონავირუსით ინფიცირებულ ბავშვებში, კავასაკის დაავადების განვითარების სიხშირის მატება. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სისტემური დაავადებები და, მათ შორის, კავასაკის დაავადება, შეიძლება გამოვლინდება სხვა ვირუსული ინფექციების დროსაც. ფაქტია, რომ ახალი კორონავირუსის ფართო გავრცელებამ ამ დაავადებების მასიური პროვოცირება გამოიწვია.

ვინაიდან ახალი კორონავირუსი ძლიერად არღვევს ორგანიზმის იმუნური სისტემის მდგრადობას, იგი, შესაძლებელია, მოგვიანებით, სხვა ქრონიკული და სისტემური დაავადებების განვითარების მიზეზი გახდეს. ამიტომ არ არის გამართლებული თავის დამშვიდება მხოლოდ იმ ფაქტით, რომ ბავშვებში კორონავირუსული ინფექცია მსუბუქად მიმდინარეობს.

დღევანდელი მდგომარეობით, ახალი კორონავირუსისგან დაცვის ყველაზე აპრობირებული მეთოდია სოციალური დისტანცირება და ჰიგიენური ნორმების დაცვა; მოვარიდოთ ბავშვები ხალხმრავალ ადგილებს, თავი შევიკავოთ ბავშვის სახეზე და ხელებზე ზედმეტი შეხებისა და კოცნისგან, განსაკუთრებით, – ჩვილ ბავშვებში, ხშირად დავბანოთ ხელი, გამოვიყენოთ პირბადე, ვასეირნოთ, ხელი შევუწყოთ გაკაჟებას, გამოვკვებოთ რაციონალურად, არ არის მიზანშეწონილი თვითნებურად იმუნიტეტის გაძლიერებელი სხვადასხვა მედიკამენტის გამოყენება. კიდევ ერთხელ ხაზს გავუსვამდით, რომ იმუნიტეტის გაუმჯობესების საუკეთესო საშუალება გაკაჟებაა.

თუ ბავშვს აღენიშნა კორონავირუსისთვის დამახასიათებელი ნიშნები – ცხელება, ხველა, სუნთქვის გაძნელება, ადგილი აქვს ეპიდემიურ კერასთან სიახლოვეს, პაციენტი ან მისი ოჯახის წევრი უახლოეს პერიოდში უცხოეთში იყო, ან ოჯახის სხვა წევრებსაც

გაგრძელება გვ 6- ზე

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკა ქვეყნის სამსახურში

დასაწყისი გვ 5-6-ზე

აქვთ მსგავსი ჩივილები, აუცილებლადაა საჭირო სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადასთან დაკავშირება და დეტალური ინფორმაციის გადაცემა, ან უნდა მივმართოთ ახლომდებარე ცხელების ცენტრს. დაუშვებელია ფაქტების დამალვა. არ არის საჭირო მდგომარეობის დრამატიზება და პანიკა. დროული დიაგნოსტირება და მკურნალობა მნიშვნელოვნად ამცირებს გართულებებს და გვიცავს ეპიდაფეთქებისგან.

მოზარდების პრობლემატიკა მთელ მსოფლიოში, საქართველოს ჩათვლით, მეტად აქტუალურია. მათ ნამდვილად ახასიათებთ რისკული ქცევა, ექსპლორატიული ქცევა (უნდათ ყველაფრის გასინჯვა და შემოწმება). ეს ნორმაა, მაგრამ ზედმეტობაში თუ გადავა, შეიძლება სავალალო შედეგები განაპირობოს. იგივე ითქმის აგრესიაზეც. დეპრესია კი ყოველთვის ძლიერ სახიფათოა. უნდა გამოვრიცხოთ მისი გამომწვევი მიზეზები. წლების წინ, პოსტსაბჭოთა სივრცეში პირველებმა, დავიწყეთ ამ პრობლემის კვლევა – მოზარდთა მედიცინის კლინიკური ასპექტების შესწავლა.

ძალიან სერიოზული პრობლემაა ბულინგი, განსაკუთრებით, სკოლაში. ის აბუჩად აგდებაა, დაცინვა, ზოგჯერ ფიზიკური ხელყოფაც კი. იგი მსოფლიო მნიშვნელობის პრობლემაა.

ჯანდაცვის სისტემის გამოწვევაა სიმსუქნის პანდემია, რით ვუშველოთ მას, რა მეთოდები გამოვიყენოთ, გაურკვეველია, სათანადო სტრატეგიაა დასახვენი. ასევე, მზარდი მნიშვნელობის პრობლემაა მიკრობების რეზისტენტობის მომატება ანტიბიოტიკების მიმართ; ჩაბმულები ვართ საერთაშორისო კონსორციუმში – გლობალურ დონეზე ტრენდებისა და სათანადო ღონისძიებების სტრატეგიის ეფექტურობის დასადგენად; ვიკვლევთ ბაქტერიოფაგიოთერაპიის მექანიზმებს და ეფექტურობას და მაქსიმალურად მხარს ვუჭერთ მის ფართო გავრცელებას.

უშუალო სამედიცინო პრობლემებიდან წამყვანად გვესახება იშვიათი დაავადებები, პირველადი იმუნოდეფიციტების ჩათვლით. გარკვეული წარმატებები ამ მიმართულებით გვაქვს, ცენტრიც ჩამოვაყალიბეთ, მაგრამ გასაკეთებელი კიდევ ბევრია.

XXI საუკუნეში ტექნოლოგიურმა და სამეცნიერო მიღწევებმა, ერთი მხრივ, შესაძლებელი გახადა მთელი რიგი დაავადებების პრევენცია და მკურნალობა, დაინერგა ახალი ლაბორატორიული და ინსტრუმენტული მეთოდები, რომელმაც ხელი შეუწყო დაავადებების ადრეულ გამოვლენას. მათ შორის, აღსანიშნავია გენეტიკური დაავადებები – ფენილკეტონურია, მუკოვისციდოზი და სხვ.; მუცლადყოფნის განვითარების პათოლოგიები, თანდაყოლილი ინფექციები, ენდოკრინული დარღვევები და ა.შ. ბოლო წლებში შემცირდა ახალშობილთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი; დაინერგა დამზოგველი და მიზანმიმართული მეთოდები ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობაში.

მიუხედავად აღნიშნული მიღწევებისა, თანამედროვე მედიცინა მუდმივად დგას ახალი გამოწვევების წინაშე. ბოლო წლებში განსაკუთრებით გაიზარდა ბავშვებსა და მოზარდებში კიბერდამოკიდებულება/ინტერნეტდამოკიდებულება. მათი უმრავლესობა ადრეული ასაკიდანვე იწყებს კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებას. ამით, ბავშვი, ერთი მხრივ, ითვისებს ახალ უნარ-ჩვევებს, იღებს ინფორმაციას, თუმცა, მეორე მხრივ, შესაძლებელია, ჩამოყალიბდეს კიბერდამოკიდებულება, რაც ნეგატიურად მოქმედებს ფსიქიკურ და ფიზიკურ განვითარებაზე. ბავშვი დღის ძირითად ნაწილს ატარებს მჯდომარე მდგომარეობაში -კომპიუტერთან, ამიტომ, დროთა განმავლობაში, შესაძლებელია, განვითარდეს მეტაბოლიზმის დარღვევები, წონაში მატება, მხედველობის და ძვალ-სახსროვანი სისტემის პათოლოგიები (ხერხემლის გამრუდება). ადინამიური ცხოვრების წესი, თავის მხრივ, სხვადასხვა ქრონიკული დაავადებების მიზეზი ხდება (შაქრიანი დიაბეტი, სიმსუქნე, არტერიული ჰიპერტენზია და სხვ). ამ პროცესს განსაკუთრებით ამწვავებს ქრონიკული დაავადებების მიმართ ოჯახური მიდრეკილების არსებობა. ყოველივე ამას საკუთარი კვლევების შედეგებით ვადასტურებთ.

კიბერდამოკიდებულება ნეგატიურად მოქმედებს ბავშვის და მოზარდის ფსიქოემოციურ სფეროზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია სოციალურ პლატფორმებზე და კომპიუტერულ თამაშებზე დამოკიდებულება, რის გამოც, ხშირად ვლინდება ძილის დარღვევები, ემოციური არამდგრადობა, დეპრესია, გუნება-განწყობის დაქვეითება და სხვა ქცევითი აშლილობები. ინტერნეტსივრცეში ხშირადაა განთავსებული სხვადასხვა ძალადობრივი შინაარსის მასალები, რაც ზრდის ბავშვებსა და მოზარდებში დანაშაულის რისკს. სხვადასხვა პროდუქტების და აზარტული თამაშების უკონტროლო რეკლამირება, დამატებით, მავნე ჩვევების ჩამოყალიბების მაპროვოცირებელი ფაქტორია.

ამავე დროს, მოზარდები ხშირად აქვეყნებენ საკუთარ პირად ინფორმაციას, ფოტო-ვიდეო მასალებს. ეს შეიძლება გახდეს თანატოლების მხრიდან ბულინგის და ჩაგვრის მიზეზი, რაც, ე.წ. გარდატეხის ასაკში მყოფი მოზარდის, ისედაც უმწიფარ ემოციურ სფეროზე ნეგატიურად მოქმედებს, ამცირებს მის თვითშეფასებას და აჩენს არასრულფასოვნების განცდას, ეს კი, ხშირ შემთხვევაში, იწვევს საპასუხო აგრესიას თავდაცვის მიზნით, ან პირიქით, - დეპრესიას, გუნება-განწყობის დაქვეითებას, ინტერესების შემცირებას და, ზოგ შემთხვევაში, აკვიატებული მდგომარეობების ფორმირებას.

საბოლოო ჯამში, შეგვიძლია ვთქვათ, რომ დღევანდელ დღეს ინტერნეტი ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია და ვერ ვიტყვით უარს მასზე, თუმცა, საჭიროა მისი ზომიერად და მიზანმიმართული გამოყენება, როგორც ზრდასრულებში, ისე ბავშვებსა და მოზარდებში. ამ მიზნით, პირველ რიგში, აუცილებელია, თვითონ მშობლების ინფორმირებულობა და ცოდნის დონის ამაღლება. ვიტყოდი ონლაინპლატფორმებზე დამოკიდებულების შესახებაც - უხშირესად, თავად მშობლები და უფროსი თაობა არის დამოკიდებული და ჯეროვნად ვერ აღიქვამს პრობლემის არსს. ამ მხრივ, დიდია ოჯახის ექიმების და პედიატრების როლი, ვინაიდან, მათ შეუძლიათ დასაწყისშივე ამოიცნონ და სწორი რჩევა-რეკომენდაცია მისცენ მშობელს კიბერდამოკიდებულებისგან გამოწვეული მდგომარეობების შესახებ.

მშობლებმა კარგად უნდა გააცნობიერონ მდგომარეობა, აუცილებელია შედგეს ბავშვის დღის წესრიგი, სადაც მაქსიმალურად იქნება განაწილებული დროის ყველა მონაკვეთი. უმჯობესია, ბავშვი დღის განმავლობაში დაკავდეს ფიზიკური აქტივობით, იმეცადინოს სასკოლო მასალა, წაიკითხოს დამატებითი ლიტერატურა, გაისეირნოს და ისაუბროს მშობლებთან, ითამაშოს, დაეხმაროს მათ გარკვეული საოჯახო საქმეების შესრულებაში და, საშუალოდ, დღის განმავლობაში 1-1,5 საათი გამოიყენოს ინტერნეტი. ერთი შეხედვით, ძნელია ამ დღის წესრიგის დაცვა, როცა ორივე მშობელი მუშაობს დღის განმავლობაში, მაგრამ, შესაძლებელია, მათ, მონაცვლეობით რამდენიმე დღე, ბავშვთან ერთად გაატარონ და მიაჩვინონ ზემოთ აღნიშნულ წესებს. შედეგად გაიზრდება ბავშვის ინტერესთა სფერო, იგი უფრო აქტიური გახდება, შეიძენს ჯანსაღ უნარ-ჩვევებს, აიმაღლებს სოციალურ პასუხისმგებლობას და ნაკლებ დროს გაატარებს კომპიუტერთან .

ცხადია, კომპიუტერი „შველის“ მშობელს იმ თვალსაზრისით, რომ ნაკლები დრო სჭირდება ბავშვის მოვლისთვის, მაგრამ, საბოლოო ანგარიშით, ეს წამგებიანია, აღარ ვლაპარაკობთ იმაზე, რომ მცირდება კონტაქტი მშობლებსა და ბავშვებს შორის.

კომპიუტერზე მუშაობისას იზღუდება ნატიფი მოტორიკა, კლავიშებს ურტყამს თითებს მომხმარებელი, ბავშვისთვის კი წერის სწავლების პროცესი, ნატიფი მოტორიკის განვითარების ხარჯზე, ხელს უწყობს ტვინის განვითარებასაც.

ხაზს გავუსვამდი მთავარს - ოჯახის ან სახელმწიფოს დონეზე საჭიროა გარკვეული ცენზურა – ზოგიერთ საიტთან წვდომა არ უნდა იყოს დაშვებული, ვგულისხმობ იმას, რომ ბავშვები და მოზარდები დაცულნი უნდა იყვნენ იმგვარი ინფორმაციისგან, რომელიც პორნოგრაფიული ხასიათისაა, მოუწოდებს თვითმკვლელობისკენ, აგრესიული ქცევისკენ, ნარკომანიისკენ.

პანდემიის პირობებში მრავალი აქტივობა, მათ შორის, პედაგოგიურიც, ონლაინ რეჟიმზე გადავიდა. პანდემია ჩათავდება, ცხადია, მაგრამ არავინ დავობს იმაზე, რომ ციფრული რევოლუციის წინაშე ვდგავართ – თავისი პლუსებითა და მინუსებით, ამასაც გააზრება ესაჭიროება. იგი, გარკვეულწილად, ინფორმაციული ნევროზების გახშირებასაც იწვევს, რაც, ისედაც მნიშვნელოვანი მახასიათებელია თანამედროვე ყოფისა.

მარინე გორდელაძე, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ენდოკრინოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, თსსუ-ის გივი ჟვანიას პედიატრიის აკადემიური კლინიკის ბავშვთა ენდოკრინოლოგიური ცენტრის ხელმძღვანელი:

დისტანციური სწავლება არის სწავლების ფორმა, რომელიც შექმნილია სპეციალურად სტუდენტებისთვის, ან სტუდენტთა ჯგუფისთვის, რომლებიც, ტრადიციულად, აუდიტორიაში, ან კაბინეტში ფიზიკურად არ იმყოფებიან. შეიძლება ითქვას, რომ დისტანციური სწავლება არის პროცესი, რომელიც ხელმისაწვდომს ხდის სწავლას, როდესაც ინფორმაციის წყარო და მიმღები ერთმანეთისგან დროით ან/და სივრცით დაშორებულები არიან.

დისტანციური სწავლების სათავედ მიიჩნევა 1728 წელი. სწორედ ამ წლის გაზეთ ,,Boston Gazette''-ში პირველად გაჩნდა განცხადება, რომ მასწავლებელი ეძებდა მსურველებს, მოსწავლეებს, რომელთაც სასწავლო მასალას კვირაში ერთხელ მიაწვდიდა, თუმცა, ამ მეთოდის აქტიური გამოყენება დაიწყო მე-19 საუკუნეში, როცა მასიურად ამოქმედდა საფოსტო სისტემა. ცნობილია, რომ დიდ ბრიტანეთში, ვინმე ისააკ პიტმანი, სწორედ ფოსტის მეშვეობით, ასწავლიდა სტუდენტებს. ლონდონის უნივერსიტეტის (University of London) მტკიცებით, სწორედ მათ დანერგეს პირველად ოფიციალური დისტანციური სწავლება, რომელიც მეოცე საუკუნის ბოლომდე სულ უფრო ვითარდებოდა და იხვეწებოდა. დისტანციურმა სწავლებამ ფართო გამოყენება კომპიუტერებისა და ინტერნეტის ფართოდ გავრცელების შემდეგ მოიპოვა. 2006 წლის მონაცემებით, დიდი სასწავლო დაწესებულებების 96% თავის სტუდენტებს რაიმე სახის ელექტრონულ სწავლებას აუცილებლად სთავაზობს. გამოქვეყნებულია, რომ 2005 წელს 3,2 მილიონმა ამერიკელმა სტუდენტმა ერთი სემესტრი სწორედ დისტანციური სწავლების გამოყენებით დახურა.

დისტანციური სწავლების დადებით მხარეებად მიიჩნევა მისი მოხერხებულობა და ხელმისაწვდომობა, საგნის არჩევის საშუალება, სამსახურთან შეთავსებადობა, ღირებულება და ა.შ. უარყოფით მხარეებად კი განიხილება ლექტორთან პირისპირ შეხვედრის შეუძლებლობა, ახალი უნარების და ტექნოლოგიების აუცილებელი ათვისების საჭიროება, ,,სტუდენტური ცხოვრების“ არარსებობა, ზოგ შემთხვევაში, - საკომუნიკაციო საშუალებების სიმცირე და ა.შ.

საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ გამოიწვია სერიოზული ცვლილებები ადამიანის ქცევასა და ორგანიზაციების ფუნქციობაში. სასწავლო დაწესებულებები სულ უფრო ფართოდ იყენებენ ტექნიკურ საშუალებებს სასწავლო პროცესში. დღეს მსოფლიოში ინფორმაციის მიღება და კომუნიკაცია სულ უფრო მეტად ხდება ინტერნეტით, ხშირად მობილური ტელეფონითაც კი. ამავე დროს, ელექტრონული სწავლება შეიძლება ისეთივე ეფექტური იყოს, როგორც ტრადიციული, ხელმისაწვდომია ფართო აუდიტორიისათვის.

კოვიდ-19-თან დაკავშირებული კარანტინის დროს ექიმებს მოგვეცა საშუალება, დავსწრებოდით არა მხოლოდ სხვადასხვა საერთაშორისო ვებინარს, არამედ ჩვენი ქვეყნის წამყვან სპეციალისტთა მიერ ჩატარებულ ინტერნეტჩართვებსა და ლექციებს, რომელთაც ერთდროულად ესწრებოდა ათასობით მსმენელი. მნიშვნელოვანია, რომ არსებობს შესაძლებლობა, იქვე დაისვას შეკითხვა და მიღებულ იქნას პასუხი. ჩვენი ქვეყნის მოსახლეობისთვის, ასევე, ძალიან მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ონლაინ სამედიცინო კონსულტაციები. მოგეხსენებათ, ჩვენი უნივერსიტეტის ორგანიზებით, მიმდინარე ონლაინ კონსულტაციებში ფართოდ მონაწილეობდნენ ჩვენი უნივერსიტეტის სხვადასხვა პროფილის ექიმები. მე აქტიურად ვმონაწილეობდი ამ ღონისძიებებში.

მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ პრაქტიკულად არ იყო გაცდენები, სტუდენტები იყვნენ ძალიან მოტივირებულები, მონდომებულები, მომზადებულები. ყველა სტუდენტი ცდილობდა გამოეჩინა ყოველდღიური აქტივობა. მათ მიერ მომზადებული პრეზენტაციები ცალკე აღნიშვნის ღირსია და ვფიქრობ, აუცილებლად ჩავატარებთ სტუდენტური პრეზენტაციების კონკურსს. ამდენი მაღალი შეფასება ნამდვილად არ დამიწერია ტრადიციული სწავლების დროს.

შენიშვნები არ მაქვს ელექტრონული პლატფორმის მიმართ, რომელიც მცირედი გამონაკლისის გარდა, მუშაობდა გამართულად. ასევე, არ ყოფილა შეფერხება სტუდენტების ჩართვის მხრიდანაც. დისტანციური სწავლება, როგორც პედაგოგებმა, ასევე სტუდენტებმა, დავიწყეთ დიდი ენთუზიაზმით. თუმცა, ჩემთვის სწავლების ეს ფორმა ძალიან დამღლელი აღმოჩნდა მას შემდეგ, რაც ჩვენ დავბრუნდით კლინიკებში, გვინევს პაციენტების პრაქტიკულად უწყვეტი ნაკადის მიღება, ხოლო ლექცია-სემინარებს ვიწყებთ 17-18 საათზე, მაგრამ მალე სასწავლო წელიც დამთავრდება და, იმედია, ახალ სასწავლო წელს აუდიტორიებში გავაგრძელებთ.

ხაზგასმით აღვნიშნავდი სტუდენტების მადლიერებას. არ ყოფილა შემთხვევა, ლექცია-პრაქტიკულის დამთავრების შემდეგ, არ გამოეხატოთ ეს დამოკიდებულება. გავიხსენებდი კიდევ ერთ სახალისო შემთხვევას: სტუდენტი ერთვებოდა იმერეთის ერთ-ერთი სოფლიდან და შუა მეცადინეობის დროს ძლიერად დაჰყივლა მამალმა, რამაც ძალიან გაგვახალისა.

მოამზადა დარეჯან კომლაძემ

თსსუ ზრუნავს

რამდენიმე თვის წინ პანდემიამ მოიცვა მსოფლიო, რამაც შეცვალა თითოეული ადამიანის ცხოვრება და საგანგებო მდგომარეობაში გარკვეული წესების მკაცრი დაცვა გახადა აუცილებელი.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტშიც ბევრი ცვლილება დადგა დღის წესრიგში: დისტანციური სწავლება, დისტანციური მუშაობა, ამასთანავე, საგანგებო სიტუაციის და პანდემიის პირობებში გამუდმებული ზრუნვა სტუდენტებზე, რეზიდენტებზე, თანამშრომლებზე, კურსდამთავრებულებზე...

თსსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობა და სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის სამსახური არაერთი ფაქტის მომსწრე გახდა, როგორ გვიკავშირდებოდნენ და ითხოვდნენ სტუდენტები, რეზიდენტები და კურსდამთავრებულები, საჭიროების მიხედვით დაგვეკვალიანებინა და მიგვითითებინა, რისი გაკეთება შეეძლოთ ამ რთულ პერიოდში. მათი უანგარო შემართება და თავდადება ძალიან დიდ ზემოქმედებას ახდენდა თითოეულ ჩვენგანზე. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, როგორც ალმა-მატერი, ითავსებდა ფუნქციას, რომ ამ რთულ დღეებში ყოფილიყო ერთგვარი დასაყრდენი და გზამკვლევი ყველა ახალგაზრდა ექიმისთვის, რეზიდენტისთვის, სტუდენტისთვის.

რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადამზადების ტრენინგების გავლის შემდეგ, თსსუ-ის სტუდენტები სხვადასხვა ლოკაციაზე გადანაწილდნენ: დედაქალაქის კლინიკებში, საქართველოს სხვადასხვა რაიონის სამედიცინო ცენტრებში, საზღვრისპირა რეგიონებში. ისინი დაუყოვნებლივ ჩაერთვნენ სხვადასხვა სოციალურ ღონისძიებებშიც – ეხმარებოდნენ შეჭირვებულ მარტოხელა ადამიანებს წამლის, საკვების მიწოდებით, მხარდაჭერას სთავაზობდნენ სხვა პრობლემების მოგვარებაში. საკმაოდ აქტიურად იყვნენ ჩართულნი NCDC- ის ყოველდღიურ საქმიანობაშიც, რაც 24 საათიან რეჟიმში მუშაობას გულისხმობდა.

საკუთარი თვალით ვნახე, როგორ შრომობდნენ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტები კლინიკებში, ვუყურე რეზიდენტების, ახალგაზრდა ექიმების თავდაუზოგავ შრომას, ვიყავი იმის შემსწრე, როგორ აქტიურობდნენ ჩვენი კურსდამთავრებულები უცხოეთიდან, როგორ უზიარებდნენ გამოცდილებას საქართველოში დარჩენილ კოლეგებს. ყოველივე ამის შემდეგ დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ყველას, ვინც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წიაღიდან გასული ასე მაღალ დონეზე წარადგენდა თავის ალმა-მატერს საზოგადოებაში.

დღეს ყოველგვარი ყალბი თავმდაბლობის გარეშე შეიძლება ითქვას, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს ჰყავს ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე, დიდი სოციალური პასუხისმგებლობით სავსე და საკუთარ პროფესიაზე უანგაროდ შეყვარებული სტუდენტები.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტურმა თვითმმართველობამ ტრადიციად ქცეული სოციალური დახმარების პროგრამა წელს უფრო ფართო მასშტაბით შესთავაზა სტუდენტებს: სტუდენტური აქტივობებისთვის არსებული თანხიდან სოციალური პროგრამისთვის დამატებით გამოიყოფა 20 000 ლარი (ჯამში 50 000) რომელიც მოხმარდება უფრო მეტი სტუდენტის განაცხადის დაკმაყოფილებას. არსებულ კრიტერიუმებს: მრავალშვილიანი ოჯახის წარმომადგენელი (ოთხი და მეტი შვილი); მკვეთრად /მნიშვნელოვნად/, ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტი; დედ-მამით ობოლი სტუდენტი; თსსუ-ის ორი ან მეტი სტუდენტი ერთი ოჯახიდან; სოციალურად დაუცველი სტუდენტი. – მიმდინარე სემესტრში დამატება ახალი კრიტერიუმი იმ სტუდენტებისთვის, რომლებსაც ჰყავთ ორი და მეტი შვილი.

ჩვენი სამსახური და თსსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობა, პრეზიდენტ ანა კაკაბაძესთან და გუნდთან ერთად, მზადაა, ყოველმხრივ გვერდით დაუდგეს სტუდენტობას, რომელიც პანდემიის პირობებში განსაკუთრებულ მხარდაჭერას და ყურადღებას იმსახურებს. თითოეულ ჩვენს იდეასა და ნაბიჯს კორონა ვირუსის წინააღმდეგ ბრძოლაში თან ახლდა თსსუ-ის რექტორის პროფესორ ზურაბ ვადაჭკორიას, კანცლერის პროფესორ ზურაბ ორჯონიკიძისა და ადმინისტრაციის უპირობო მხარდაჭერა, რაც ტრადიციული და არახალია, რისთვისაც მინდა დიდი მადლობა გადავუხადო მათ.

მიხეილ დიაკონიძე,
სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი

დროის შესაბამისად – „შეკავებული სუნთქვა“

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის თეატრი „ჰიგია“ კორონავირუსის პანდემიას ეხმაურება.

„შეკავებული სუნთქვა“ – ასე ჰქვია ორიგინალურ პერფორმანსს, რომელიც უნივერსიტეტის ეზოში გაიმართა.

თეატრ „ჰიგიას“ რეჟისორი, თსსუ-ის ჰისტოლოგიის, ციტოლოგიის და ემბრიოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი ნათია გუჯაბიძე აღნიშნავს, რომ ახალი მინი-სპექტაკლი არის „განვითარების უმაღლეს საფეხურზე მდგომ არსებას – ადამიანსა და მიკრო ორგანიზმს შორის ბრძოლის შესახებ, ექიმების გმირულ თავდადებაზე, უამრავ გადარჩენილ სიცოცხლეზე, და მწვავე კითხვებზე, რომელსაც კაცობრიობამ პასუხი უნდა გასცეს!“

უხილავ მტერთან მებრძოლები

მსოფლიო ახალი გამოწვევის წინაშე დადგა. კორონავირუსმა COVID-19-მა, მთელი მსოფლიო მოიცვა. მსოფლიო სლოგანმა – „დარჩი შინ“, ცხოვრების ახალი, დისტანციური სტილი შესთავაზა საზოგადოებას.

საქართველო, ბრძოლის პირველივე ეტაპიდან, ღირსეულად უმკლავდება ამ გამოწვევას, რაშიც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიურ და სამედიცინო პერსონალთან ერთად, მნიშვნელოვანია სტუდენტების წვლილი..

ცხადია, შეიცვალა სტუდენტების ცხოვრების და სწავლის გრაფიკი: შექმნილმა ვითარებამ – დისტანციურ სწავლებაზე გადაიყვანა ისინი, მაგრამ მოქალაქეობრივი პოზიცია და მომავალი პროფესია განაპირობებდა თითოეული მათგანის ჩართულობას იმ პროცესში, რომელიც თბილისისა, და საქართველოს სხვადასხვა ქალაქების კლინიკებში მიმდინარეობდა. შესაბამისი ტრენინგის გავლის შემდეგ, მოხალისეებად გადანაწილდნენ, იქ, სადაც საჭირო იყო მათი დახმარება სამედიცინო სფეროსა თუ საქველმოქმედო ღონისძიებებში. საგანგებო სიტუაციის პირობებში, პანდემიასთან ბრძოლაში გატარებული შრომატევადი, მაგრამ საინტერესო დღეები მათი ბიოგრაფიის ნაწილად იქცა...

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა ძალიან საინტერესო პროექტი შესთავაზა სოციალური ქსელების მომხმარებლებს: დაიწყო იმ სტუდენტთა და რეზიდენტთა წარდგენა, რომლებიც უხმაუროდ, თავდადებით ასრულებდნენ და დღესაც ასრულებენ თავის მოვალეობას კლინიკებში.

თსსუ-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი გიორგი ჭიჭინაძე, *აღნიშნავს, რომ ეს ძალიან მნიშვნელოვანად მიაჩნია: „მინდა, ყველა იცნობდეს მათ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებსა და რეზიდენტებს, როგორც მოქალაქეებს, რომლებიც თავისი მაღალი შეგნებით ერთი წუთით არ გარიდებიან ქვეყნის საჭიროებებს. პირიქით, – დაძაბულ პერიოდში, გაურკვეველი თვისებების მქონე ვირუსთან პირისპირ, მართლაც და დიდ სულიერ ძალასა და ვაჟკაცობას ავლენდნენ. ისინი თავისი ახალგაზრდული შემართებით, ენერგიით, პროფესიისადმი სიყვარულით და ერთგულებით, ნამდვილი მამულიშვილობის მაგალითს ქმნიან. ასე ნაბიჯ-ნაბიჯ იქმნება ბიოგრაფია, რომელიც ყველგან თან ახლავს ადამიანს. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, ცხადია, თვალს ადევნებს ყველა სტუდენტის, რეზიდენტის, კურსდამთავრებულის საქმიანობას და მათი ყოველი წარმატებით ხაროობს და ამაყობს.*

მინდა ისე მოგმართოთ, როგორც მივმართავდით ხოლმე ერთმანეთს ჩვენი უნივერსიტეტის წიაღში: მადლობა თქვენ, ჩვენო თსსუ-ელებო! ჩვენ თქვენით ამაყები და ძლიერები ვართ!“

„სამედიცინო გაზეთი“ გთავაზობთ, გაეცნოთ პროექტის – „უხილავ მტერთან მებრძოლები“, რამდენიმე მონაწილეს...

გიორგი ჩიქოვანი – თსსუ-ის რეზიდენტი, გადაუდებელი მედიცინის, რეანიმაციისა და ანესთეზიოლოგიის მიმართულება:

„თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სწავლის წლები საინტერესო და დატვირთული გამოდგა ჩემთვის. რეზიდენტურაში სწავლას გავდივარ იმ კლინიკაში, რომელიც პირველია რესპუბლიკაში, – თსსუ-ის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკა, ახალი გამოწვევის – კოვიდ-19-ის პანდემიის და მასთან გამკლავების წინაშე აღმოჩნდა, რამაც თითოეულ ჩვენგანს დიდი გამოცდილება დაგვიტოვა. მიხარია ამ გუნდის წევრობა, რომელიც უხილავ მტერთან ბრძოლაში იყო ჩართული და წარმატებებით გაართვა თავი ახალი კორონავირუსის დამარცხებას ამ ეტაპზე.

ახალი გამოწვევა ზოგჯერ დაეჭვებას იწვევდა, მაგრამ გულგატეხილობა არასდროს დამუფლებია, კლინიკიდან გაწერილი ყოველი გამოჯანმრთელებული პაციენტი იმედისმომცემი იყო და ვრწმუნდებოდი, რომ პროფესიულ არჩევანში არ შევმცდარვარ. ექიმობა – ეს ის საქმეა, რომელიც ძალიან მიყვარს.

ბედნიერებაა, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში მომიწია სწავლა, უნივერსიტეტში, სადაც თითოეული დღე სტუდენტისთვისაა განკუთვნილი, საამაყო პროფესორ-მასწავლებლების და ადმინისტრაციის წარმომადგენლების ძალისხმევით ყველაფერი ახალგაზრდობის სრულფასოვანი სწავლის, ღირსეული ექიმთა კადრების ჩამოყალიბებისკენაა მიმართული“.

საბა აბუთიძე – თსსუ-ის კურსდამთავრებული, გადაუდებელი მედიცინის, რეანიმაციისა და ანესთეზიოლოგიის მიმართულების დეპარტამენტის უმცროსი ექიმი; საბა გეგმავს რეზიდენტურაც პირველი საუნივერსიტეტო კლინიკაში გაიაროს, რადგან თვლის, რომ აქ, ამ რთულ უბანზეა მისი ადგილი, აქედან ხედავს მომავალი საქმიანობის კონტურებს. თავის უზენაეს მოვალეობად ადამიანის ჯანმრთელობის ხარისხზე ზრუნვა მიაჩნია, დასახული მიზნები მუდმივად სიახლეებისკენ სწრაფვას ავალებს. პანდემიამ შეცვალა ცხოვრების რიტმი, თუმცა მას, როგორც მრავალ სხვას, დიდი გამოცდილება შესძინა და მისცა საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების შეფასების შესაძლებლობა. პაციენტთან გატარებული ყოველი წუთი ერთნაირად მძიმე და საყურადღებო იყო საბასთვის, ექიმის პროფესია ხომ მუდმივ წინააღმდეგობებს და მათ გადალახვას გულისხმობს, რაც მეტ ძალას გაძლევს, უფრო მეტი მონდომებით, რომ აკეთო ის საქმე, რომელიც გიყვარს.

„როდესაც ექიმობაზე ფიქრობ, თავიდანვე აანალიზებ იმას, რომ შენთან გადაიკვეთება უცნობი ადამიანების ცხოვრება, რომლებსაც შენი დახმარება სჭირდებათ. ესაა, ყოველდღიური გამოწვევა, სადაც სხვისი სიცოცხლის გადასარჩენად ირჯები. პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის პროფესორ-მასწავლებლები ღირსეულად გაუმკლავდნენ მსოფლიოსთვის მძიმე გამოწვევას COVID-19-ის ინფექციასთან ბრძოლაში და როდესაც მათ გვერდით დგახარ, რომლებიც წლების განმავლობაში თავის ცოდნას და გამოცდილებას გიზიარებენ, საამაყოა. სიამაყის საფუძველს, თუნდაც, ერთი გამოჯანმრთელებული პაციენტი გაძლევს, გიხარია ექიმობა რომ აირჩიე – ადამიანების დასახმარებლად გამიზნული პროფესია. თსსუ – ჩემი მშობლიური უმაღლესი სასწავლებელია, რომელმაც ცოდნისა და მეგობრების შეძენის შესაძლებლობა მომცა,“ – ასე შეაფასა ლაშა ქიქავამ, პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის კარდიოლოგიური დეპარტამენტში მომუშავე რეზიდენტმა, COVID-19-თან გამკლავების რთულ დღეებს.

ეკა კობიძე, – თსსუ-ის რეზიდენტი, შინაგანი მედიცინის მიმართულება. საინტერესოა მისი მოსაზრებაც:

„ექიმის პროფესია არ ამირჩევია ოჯახური ტრადიციების გაგრძელების, ან მერკანტილური სურვილების დაკმაყოფილების მიზნით. თავიდანვე გააზრებული მქონდა, რომ ეს გზა გამოწვევებით და სირთულეებით იქნებოდა სავსე. ჩემი აზრით, მთავარია გიყვარდეს შენი საქმე და პაციენტი, პატივი სცე მის უფლებებს. ასეთ მძიმე წუთებში რწმუნდები პროფესიული არჩევანის სისწორეში.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი – ის სივრცეა, სადაც დიდი ენთუზიაზმით დგამ პირველ ნაბიჯებს, ხვდები საერთო ინტერესის, მიზნების და ღირებულებების ხალხს.

ახალი ვირუსს განსაცდელს ვერ დავარქმევ, უფრო პიროვნული გამოცდაა, – რამდენად სწორად ავირჩიე ექიმის პროფესია. პროფესიული გამოცდილებაა, როგორც აკადემიური თვალსაზრისით, ასევე სამედიცინო ეთიკით, პაციენტის უფლებებით, პროფესიული სოლიდარობით.

დასაფასებელია ყველა ის სამედიცინო მუშაკი, რომელიც თავის წილ აგურს დებს სიცოცხლის გადასარჩენად, თუ ეს ბრძოლაა, მაშინ რეანიმაციიდან პალატაში გადაყვანილი და პალატიდან სახლში განერილი თითოეული პაციენტი, ყველა ჩვენგანის გამარჯვებაა.

პირველსემესტრელები მალე აახმოვანებენ თსსუ-ს სასწავლო აუდიტორიებს. მიხარია, რადგანაც, რა მიმართულებითაც უნდა წავიდნენ, წინ საინტერესო მომავალი, ყველას თავისი თავგადასავალი ელის. მთავარია, არ უღალატონ იმ იდეას, რომლისაც სჯერათ“.

ნინო შალამბერიძე,– თსსუ-ის რეზიდენტი, შინაგანი მედიცინის მიმართულება.

ნინოს აზრით, თსსუ-ის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკა COVID- 19-ის ინფექციის დასაძლევად მომზადებული ტექნიკური აღჭურვილობით, აპარატურით და მაღალპროფესიული ექიმთა კადრით შეხვდა. როგორც ნინომ აღნიშნა: „მართლაც, საამაყო და სასიამოვნო იყო მათ გვერდით მუშაობა. გუნდური მუშაობის პრინციპმა სასურველი შედეგი მოგვცა: ერთად ვიბრძოდით თითოეული ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად, ვზრუნავდით ერთმანეთზე. ვიდექით იქ, სადაც უნდა ვმდგარიყავით – ფრონტის წინა ხაზზე!

მოხარული ვარ, რომ ერთიანი ძალისხმევით, შევძელით რთული გამოწვევის ღირსეულად გამკლავება“.

ინფექციასთან მებრძოლი თითოეული ადამიანი გმირია, რომელიც, თუნდაც, მცირე საქმიანობით ეხმარება სამედიცინო პერსონალს, პაციენტებს...

სხვადასხვა ლოკაციებზე გადანაწილდნენ თსსუ-ის სტუდენტი მოხალისეები: საქართველოს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში, კლინიკა „ჯერარსში“, რესპუბლიკურ საავადმყოფოში, რუსთავის საკარანტინო ზონაში, ს. ხეჩინაშვილის სახელობის კლინიკაში, რუხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში და სხვა... გარდა ამისა, მზრუნველობამოკლებული მარტოხელა მოხუცებიც ელოდნენ ახალგაზრდებს და არამარტო ისინი, სხვებიც, ვისაც მათი დახმარება ესაჭიროებოდათ. ახალგაზრდებისთვის ამ სიხარულს რა შეედრება, როდესაც ეიმედები, შენს გამოჩენას ელიან.

მოხალისე სტუდენტები: ლაშა კენჭუაშვილი, ნინო ხუციშვილი, ლუკა ცერცვაძე, ნინო ხურცილავა, გიორგი ბელთაძე, გურანდა ლაზარაშვილი, დავით თათოშვილი, დემეტრე სვანიძე, ნინო ბოგვერაძე, თამარ კურტანიძე, გაგა გაგნიძე, სოფო მაჭარაშვილი, თამუნა ჯოლოგუა, მარიამ გაფრინდაშვილი, მარიამ გოგოლაძე, ნანუკა ღავთაძე, თეო დამენია, გელა ონაშვილი, ნინო გუკასოვა, სანდრო ჩხეიძე, მარიამ ტაბატაძე, თაკო ლაბაძე, ნანა ურიკაევა, ზურაბ ღუდუშაური... ისინი მრავლად არიან, 500-ზე მეტნი, ადამიანის იმედად მდგომნი და თუ შეეკითხები, თითოეული საინტერესო ამბავს მოგითხრობს არა საკუთარ თავზე, არამედ გვერდზე მდგომ მეგობარზე, კოლეგაზე, თუ როგორ შეძლეს ერთობლივად უცნობ ინფექციასთან გამკლავება და ყველაზე ძვირფასის – სიცოცხლის გადარჩენა, იგებ იმასაც, რომ მძიმე ბრძოლის შედეგად კლინიკიდან განერილ პაციენტს ტაშით აცილებდნენ; მადლიერების ტაში კი საზოგადოებამ ექიმებს არგუნა, გარინდული ქალაქის ქუჩები რომ მოიცვა.

თსსუ-ის მოხალისე სტუდენტები ოკუპირებული ტერიტორიებიდან რამდენიმე კილომეტრშიც ასრულებდნენ პროფესიულ მოვალეობას — როგორც რიგითი ჯარისკაცები.

თსსუ-ის სტუდენტს, თიკო ლაგვილავას, არასდროს დაავიწყდება გამოჯანმრთელებული მოხუცი, რომელიც მასში მშვენელსა და შემწეს ხედავდა, სპეციალური ეკიპირება დაფარულს ხდიდა ექიმს პაციენტისთვის, მხოლოდ თვალები ჩანდა სიყვარულით, მზრუნველობით სავსე თვალები, რომლითაც ყველაფერი ნათელი ხდებოდა, და გამოჯანმრთელების იმედიც მატულობდა.

„მსოფლიო პანდემიამ დაგვანახა ექიმის პროფესიის უპირველესობა, ბედნიერებაა, როდესაც ადამიანის გადარჩენა ძალგიძს“, – ეს მარტო თინათინ დოთიაშვილის მოსაზრება როდია, ამასვე ამბობენ ნინო ტურაბელიძე, ნინო მახათაძე, შაკო ჩქარეული, ავთანდილ უბილავა, თემურ კაცია... რომლებმაც სხვა მრავალთა მსგავსად სისხლხორცეულად გაითავისეს ექიმის პროფესიის ალტრუისტული დანიშნულების არსი, ბოქსებში გამოკეტილი და ინფექციასთან მებრძოლი ადამიანები განსაკუთრებული მოლოდინით ელოდნენ მათ სითბოს, ყურადღებას, ნუგეშს, მაინც რა ჯადოსნური ძალა ჰქონდა ახალგაზრდების სიტყვას, მიწვდილ ჭიქა წყალს, ნამალს თუ საკვებს. ისინი საზღვრისპირა მოსახლეობისთვის შეუცვლელნი გახდნენ და არა მარტო მათთვის: სტუდენტებმა ისწავლეს სიძნელეებთან გამკლავება, გუნდურმა მუშაობამ დაანახა, თურმე რამდენის მიღწევა ყოფილა შესაძლებელი, ერთად დგომით, დაძლევადი ხდება თავსდატეხილი უცნობი ვირუსიც“.

„დიდი მოტივაცია დავინახე თითოეულ მათგანში და ბედნიერი ვიყავი, მათთან შეხვედრის შესაძლებლობა, რომ მომეცა,“ – ასე შეაფასა რუხის რესპუბლიკური საავადმყოფოს ხელმძღვანელმა, ხელმძღვანელმა, ირაკლი გვაზავამ, თსსუ-ის სტუდენტების საქმიანობა.

ადამიანის ცხოვრებაც ხომ ხანგრძლივი ბრძოლაა, სადაც მიზნისკენ მიმავალი გზა იმედითაა მოსილი.

მოამზადა მანანა ფხალაძემ

https://www.facebook.com/tsmu.tbilisistatemedicaluniversity

„სამედიცინო გაზეთის“ რედაქცია ვაჟა-ფშაველას გამზირი №33, ოთახი №600, ტ.: 254-24-64 რედაქტორი **ლელა მუკბანიანი**
კორესპონდენტები: **მანანა ფხალაძე** ტ.:555 29 98 27 **დარეჯან კომლაძე** ტ.:558 17 08 47 **ნატო ბოლქვაძე** ტ.:555 28 28 97
ელ-ფოსტა newspaper@tsmu.edu